# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭდვის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



ოთხშაბათი, 18 ივლისი, 2012 წელი.

№136 (7012)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## პროფესია — გამყალბებელი



⑤

**როგორ იქნება სამართლიანი ლევან თარხნიშვილის მიერ ჩატარებული კვლევა?**

## ერთად უნდა მოვიშოროთ ნაციონალური ჭირი

③

**პარტია „სალომე ზურაბიშვილი – საქართველოს გზის“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ მხარდაჭერას საჯაროდ უცხადებს**



## „ეს ბაზარი რომ არ ყოფილიყო, ხელისუფლებას უნდა გამოეგონებინა“

⑥

**ერგნეთის ბაზრობის აღდგენის საკითხი — მხოლოდ განცხადებების დონეზე**



## აქ უმრავლესობა ღარიბია — ბავშვიც, ახალგაზრდაც, პენსიონერიც...

②

# სერგეი კრემლიოვი: „დიდი ბერია“

ანონსი

## XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი




ძველი ბერძნული გამოთქმა — ისტორია წარსულს ალაგებს, ზუსტად შეესატყვისება ცნობილი რუსი ისტორიკოსისა და პუბლიცისტის **სერგეი კრემლიოვის** ნაღვაწს — თითქმის 900-გვერდიან წიგნს — „Великий Берия“, რომელიც ახლახან მოსკოვში გამომცემლობა **„იაუზ-პრესმა“** მიაწოდა მკითხველს.

წიგნისთვის დართულ საგამომცემლო ანოტაციაში ნათქვამია, რომ „თუ არა ეს საკულტო წიგნი, მთავარ ისტორიულ სენსაციად ქცეული ლავრენტი ბერიას პირადი დღიურების გამოცემა სრული ვერ იქნებოდა! ეს გახლავთ საუკეთესო ძეგლი სტალინის ერთადერთი ღირსეული მემკვიდრისა, რომელიც შეძლებდა ბელადის ანდერძის აღსრულებას: მოხელეთათვის ხელიდან გამოეგლიჯა ძალაუფლება და ხალხისთვის დაებრუნებინა! ეს ბიოგრაფია პირველად აფასებს ჯეროვნად სტალინური ეპოქის უდიდეს სახელმწიფო მოღვაწეს, ვინც გახლდათ არა ოდენ სპეცსამსახურეთა გენიოსი, არამედ ხელისუფლების გენიოსიც.

სიჭაბუკეში ბერია ახალი ქალაქების მშენებლობაზე ოცნებობდა, შედეგად კი გახდა ზესახელმწიფოს მეორე აღმშენებელი სტალინის მერე. გახურებული დიდი ტერორის დროს, როცა დაიკავა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახკომის თანამდებობა, მან ბოლო მოუღო ეჟოვის განუკითხაობას და აღადგინა კანონიერება. ბერია აფრთხილებდა ბელადს ომის მოახლოებაზე, მან მოამზადა მოსკოვის დაცვა, არ დათმო კავკასია, მთელი დიდი სამამულო ომის დროს პასუხისმგებლობა იკისრა სამხედრო მრეწველობაზე; გამარჯვების შემდეგ კი ბერია ატომური და სარაკეტო დარგების დამფუძნებლად მოგვევლინა. ტყუილად კი არ აღიარებდნენ მას „XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერად“ მტრებიც კი.

ეს წიგნი, ხრუშჩოვის ცილისწამების უკუგდებით, ემსახურება ლავრენტი ბერიას სრული ისტორიული და მორალური რეაბილიტაციის საქმეს, რომელიც „ჯალათი“ და „სისხლისმსმელი“ კი არ იყო, როგორც მტრები ცრუობენ, არამედ სსრ კავშირის გადამრჩენი და უკანასკნელი იმედი ზესახელმწიფოს მომავლისა!“

ჩვენმა რედაქციამ გადაწყვიტა, რომ გაზეთის უახლოესი ნომრებიდან ქართველ მკითხველსაც გააცნოს ამ წიგნის შემცირებული ვარიანტი, როგორც ჩვენი უახლოესი წარსულის ახალ ისტორიულ მასალაზე დაფუძნებული დოკუმენტი.

რა თქმა უნდა, ისიც ვიცით და გვჯერა, რომ ამ თამამ პუბლიკაციას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვება.

## „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარობის 12 კანდიდატი წარადგინა



კოალიციის სახელით საპარლამენტო მანდატების მოპოვებისთვის გურჯაანში **მანანა ბერიკაშვილი** იბრძოლებს, თელავში — **გელა სამხარაული,** აბაშაში — **ირაკლი საბულუა,** სენაკში — **გურამ ოდიშარია,** ფოთში — **ეკა ბესელია,** ლენტეხში — **გია გაზდელიანი,** ბათუმში — **მურმან დუმბაძე,** ქედაში — **დავით ანანიძე,** ქობულეთში — ქიბარ ხალვაშის და **ფატი ხალვაში,** შუახევში — **შოთა ზოიძე,** ხულოში — **ზია საგინაძე,** ხელვაჩაურში — **როსტომ ხალვაში.**

## ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს საერთაშორისო იურიდიული კომპანია SKADDEN-ი დაიცავს

**ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ლიდერის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე განთავსებულ განცხადებაშია ნათქვამი.**

**ბიძინა ივანიშვილი საერთაშორისო იურიდიული კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრას Skadden-ის ლონდონის ოფისის ხელმძღვანელი დევიდ ჰერლიხი და ვაშინგტონის ოფისის ხელმძღვანელი გრეგორი ბესტორ გრეგი ესწრებოდნენ.**

გრეგორი გრეგი ცნობილია, როგორც ადვოკატი და იურისტი, ასევე როგორც პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე. ის იყო თეთრი სახლის იურისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი 1998 წელს. 2009-2010 წლებში კი იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას პირადი მრჩეველი.

— რაც შეეხება Skadden-ს, ეს არის ცნობილი საერთაშორისო იურიდიული კომპანია, რომელიც დასახელდა 2012 წლის საუკეთესო იურიდიულ კომპანიად ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასევე 2012 წელს მოიპოვა IFLR (გამოცემა: საერთაშორისო ფინანსური სამართლის მიმოხილვა) ევროპისა და ამერიკის ჯილდო. აღნიშნულ ჯგუფში მოღვაწე 126 იურისტი შეყვანილია მსოფლიოს საუკეთესო იურისტთა სიაში. სწორედ ეს იურიდიული კომპანია დაიცავს ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს, რომლის უფლებებიც დაირღვა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. უახლოეს მომავალში დაიწყება საქართველოს ხელისუფლებასთან დავა მსოფლიო ბანკთან არსებულ საინვესტიციო დავათა განხილვის საერთაშორისო ცენტრში, — აღნიშნულია განცხადებაში.

◎ „ქართული დასი“ უტევს!..

## ჯონდი ბაღათურია პენსიიდან 15 ლარის ჩამოჭრას აპროტესტებს



**როგორც ჯონდი ბაღათურიამ გუშინ „ლიბერთი ბანკის“ ქიქოძის №10-ში მდებარე ოფისთან გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, პენსიიდან 15 ლარის ჩამოჭრა სადაზღვევო პოლისის ღირებულებაა.**

„ლიბერთი ბანკის“ მფლობელი დირექტორი არის სააკაშვილის პირადი მეგობარი, მისი დამფინანსებელი კი ყოფილი პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძეა. ამ ბანკს აქვს მონოპოლია, ანუ ექსკლუზიური უფლება დაარიგოს პენსიები, — აღნიშნა ბაღათურიამ.

განცხადების გაკეთების შემდეგ დეპუტატი ბანკის მენეჯერსაც შეხვდა და 15 ლარის ჩამოჭრის მიზეზის განმარტება სთხოვა. საუბარი მენეჯერის კაბინეტში დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. იქიდან გამოსულმა ბაღათურიამ კი აღნიშნა, რომ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი..

მისივე თქმით, “ლიბერთი ბანკი“ ხდება პენსიის წინასწარ აღება ე.წ. ოვერდრაფტი, რის გამოც პენსიონერს 36 ლარი ექვითება.

— არც ერთ სავახშოში, არც ერთ ლომბარდში, არც ერთ ბანკში საქართველოში და არც დანარჩენ მსოფლიოში ასეთი მაღალი საპროცენტო განაკვეთი არ არსებობს. ეს არის სრულიად უკანონო და ეს არის ძარცვა და მითვისება სახელმწიფო სახსრების, — აღნიშნა დეპუტატმა.

დეპუტატმა „ლიბერთი ბანკის“ ოფისში „ქართული დასის“ ახალ ინიციატივაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ არჩევნებში „ქართული დასის“ გამარჯვების შემთხვევაში, ყველა ასაკით პენსიონერს საშუალოდ 220-დან 250-260 ლარამდე გაეზრდება პენსია. ყველა ჯგუფის ინვალიდის და მარჩენალდაკარგულის შემწეობა კი 170 ლარი იქნება.

ამასთან, ბანკში ბაღათურიას ბრიფინგისას დაცვა ჟურნალისტებს კამერების გამორთვასა და ტერიტორიის დატოვებას სთხოვდა. მოგვიანებით, ბანკში დაცვის პოლიციის თანამშრომლებიც მივიდნენ. თუმცა რაიმე ინციდენტი არ მომხდარა.

**ინტერპრესნიუსი**

◎ გაეროს ბავშვთა ფონდი

## აქ უმრავლესობა ღარიბია — ბავშვიც, ახალგაზრდაც, პენსიონერიც...



**გაეროს ბავშვთა ფონდში მიიჩნევენ, რომ საქართველოში ბავშვთა სიღარიბის დონე ძალიან მაღალია. ქართველი ექსპერტები კი თვლიან, რომ სიღარიბის დონე მთელ ქვეყანაში და ყველა კომპონენტში ძალიან თვალშისაცემია. სწორედ ამიტომაც აქ უმრავლესობა ღარიბია — ბავშვიც, ახალგაზრდაც, ჯანღონით სავსე მამაკაციც და პენსიონერიც...**

იუნისეფის (გაეროს ბავშვთა ფონდი) კვლევის თანახმად, საქართველოში საერთო სიღარიბემ იკლო, მაგრამ ბავშვთა სიღარიბის დონე კვლავ მაღალია. ქვეყანაში არსებული სოციალური დაცვის სქემები სრულად ვერ აკმაყოფილებს ბავშვიანი ღარიბი ოჯახების საჭიროებებს.

აღნიშნული კვლევა 2011 წელს, „გაეროს ბავშვთა ფონდის“ მიერ გაერთიანებული სამეფოს იორკის უნივერსიტეტთან და საქართველოს სოციალური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტთან თანამშრომლობით ჩატარდა. კვლევის — „ბავშვთა სიღარიბის შემცირება საქართველოში“ — პრეზენტაციის თანახმად, ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების რაოდენობა 2009 წლის 24 პროცენტიდან 2011 წლისთვის 22 პროცენტამდე დაეცა. ღარიბ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობამ 28-დან 25 პროცენტამდე იკლო. ამავე პერიოდში საგრძნობლად შემცირდა უკიდურესი სიღარიბეც. თუმცა, ბევრი ბავშვი მაინც სიღარიბეში ცხოვრობს.

საერთაშორისო კვლევების თანახმად კი, სიღარიბეში დაბადებული ბავშვი მეტი ალბათობით იქნება ღარიბი მთელი ცხოვრების განმავლობაში, რაც ხელს უშლის ბავშვის სათანადო განვითარებას და მომავალში უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების რეფორმებმა საქართველოში გამოიწვია სწრაფი ეკონომიკური ზრდა, ამ ზრდის სარგებელი მაინცდამაინც თანაბრად არ ნაწილდება და არსებული სოციალური დაცვის მექანიზმები სათანადოდ ვერ მოიცავს ბავშვებს. „იუნისეფში“ თვლიან, რომ საჭიროა დამატებითი ინვესტიციები საქართველოში ყველაზე დაუცველი ბავშვების დასახმარებლად.

ქართველი სპეციალისტები კი სიღარიბის დონის შეფასებისას უფრო გლობალურ მასშტაბებს ხედავენ, ვიდრე ბავშვთა სიღარიბეა. მათი აზრით, ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა სიღარიბეშია ჩაფლული და ხელოვნურად შემცირებული სტატისტიკური მონაცემები რეალურ სურათს ვერ ასახავს.

„როდესაც ყველა ჩატარებულ გამოკითხვაში მოსახლეობის ნახევარზე მეტისთვის ნომერ პირველ პრობლემას უმუშევრობა წარმოადგენს, იქ სიღარიბის შემცირებულ მაჩვენებელზე საუბარი ცოტა არასერიოზულია. მართალია, ქვეყანაში მშპ იზრდება, მაგრამ ის მოსახლეობის კეთილდღეობაზე ვერ აისახება.



2011 წელს ყველაზე მეტად გაძვირდა ხორცი, საკვები და პირველადი მოხმარების საგნები. ინფლაციის გაზრდილ მაჩვენებელს თან არ ახლავს ხელფასებისა და პენსიების ინდექსაცია. აქ საუბარი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაჯანსაღებაზე არ არის და ვერც იქნება.

ასე რომ, ოფიციალურ მონაცემებსა და რეალობას შორის დიამეტრალური განსხვავებაა. ზოგჯერ, როდესაც ოფიციალურ მონაცემებს ვკითხულობ, მგონია, ვირტუალურ სამყაროში ვცხოვრობ. რეალური მაჩვენებელი კი ოდნავაც არაა ახლოს იმ ციფრთან, რომელიც ოფიციალურად ქვეყნდება.

ექსპერტული გათვლებით, შემიძლია გითხრათ, რომ დღეს საქართველოში სიღარიბის მაჩვენებელი 50%-ს შეადგენს და ის უკვე წლებია სისტემატურად იზრდება“, — განაცხადა ეკონომიკის ექსპერტმა ლევან კალანდაძემ.

საერთოდ, სიღარიბე კეთილდღეობის ნაკლებობის მაჩვენებელია. სიღარიბის მაჩვენებლის სიდიდე კი დამოკიდებულია იმაზე თუ რის მიხედვით ანგარიშობენ მას ამა თუ იმ ქვეყანაში. თუკი დასავლეთ ევროპაში სიღარიბის მაჩვენებლის გათვლისას მნიშვნელოვანი „მისაწვდომობის კომპონენტია“, ანუ მოქალაქის ხელმისაწვდომობა სასურველი განათლების მიღებაზე, მაღალხარისხიან ჯანდაცვაზე, უსაფრთხო საკვებსა და ა.შ. საქართველოში იგი მინიმალურ სასურსათო კალათას დამატებული მინიმალურ არასასურსათო ხარჯებთან ასოცირდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპისა და ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში სიღარიბის მაჩვენებლის გაანგარიშებისას ყურადღება ექცევა ისეთ კომპონენტსაც, როგორიცაა ის თანაფარდობა, რომელიც ოჯახის საერთო შემოსავალსა და სურსათის შესყიდვაზე დახარჯულ თანხებს შორის არსებობს. საერთოდ მიღებულია, რომ თუ სურსათზე დახარჯული თანხა საერთო შემოსავლის მესამედზე მეტია, მაშინ ის ოჯახი ღარიბია.

**ეკა ბაქრაძე**

◎ შალვა ისევ „უზერავს!“

## ჰააგის სასამართლომ სააკაშვილის წინააღმდეგ წარდგენილი მასალების შესწავლა დაიწყო

**ამის შესახებ „ლეიბორისტრული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა.**

**როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე შალვა ნათელაშვილმა აღნიშნა, “ლეიბორისტულმა პარტიამ“ მიხეილ სააკაშვილის პასუხისგებაში მისაცემად მასალები ჰააგის სისხლის სამართლის სასამართლოში 2010 წელს გადააგზავნა.**



— როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ივანიშვილის მილიარდებით ხელისუფლებაში ძალადობით მოსული საქართველოს დე ფაქტო პრეზიდენტი ჩამოყალიბდა საერთაშორისო დამნაშავედ. მის სინდისზეა დიქტატურა, რეპრესიები, ომი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, ტერიტორიების დაკარგვა. ყველაფერ აღნიშნულზე „ლეიბორისტულმა პარტიამ“ მიხეილ სააკაშვილის პასუხისგებაში მიცემის მოთხოვნით მიმართა ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს და აი, ჰააგის ტრიბუნალიდან მივიღეთ პასუხი, რომლის თანახმადაც საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ საქმის აღსაძრავად წარდგენილი მასალების შესწავლა-ანალიზი უკვე დაწყებულია. ჩვენ მანამდე გავაგრძელებთ ბრძოლას, სანამ საერთაშორისო ტრიბუნალზე არ მოხვდებიან სააკაშვილ-ივანიშვილი და მთელი ეს ბანდა, რომლებმაც ჩვენი სამშობლო ასე დააქციეს, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

მისივე თქმით, არ იცის, რამდენი დრო დასჭირდება სასამართლოს მასალების შესასწავლად, რადგან მსგავსი დოკუმენტების შესწავლას დიდ დროს უთმობენ.

**ინტერპრესნიუსი**

## ვინ — ვის?

ამის შესახებ ზურაბიშვილის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, რომელსაც „პირველი“ უცვლელად გთავაზობთ (სტილი დაცულია):



პარტია „სალომე ზურაბიშვილი — საქართველოს გზის“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ მხარდაჭერას საჯაროდ უცხადებს

# ერთად უნდა მოვიშოროთ ნაციონალური ჭირი

„მივესალმები საზოგადოებას, დიდი ხანია, არ მქონია საშუალება, რომ ჩემი სათქმელი მეთქვა, ეს იყო ჩემი არჩევანი, ჩემი არჩევანი იყო წასვლაც, ჩემი არჩევანი იყო დუმილიც და დღეს ჩემი არჩევანი არის აქ ჩამოსვლა და აგიხსნით, რატომ, როგორ და რისთვის.

ჩამოვედი იმიტომ, რომ ჩავთვალე, რომ დღევანდელი სიტუაცია, ჩემი თვალიდან დანახული, ჩემი გარე თვალიდან დანახული არის ძალიან სერიოზული, თუ არა საგანგაშო. დღეს ხელისუფლება ეწევა საშინელ პოლიტიკას, რომლის მიზანი არის არა თუ ის, რასაც აქამდე აკეთებდა და მე აღარ გავაგრძელებ ამას, რაც თქვენ ჩემზე უფრო კარგად იცით, მე ვუყურებ გარედან და გარედან მიდის, საქართველოს სახელის და სახის განადგურება, ეს ხელისუფლება, თავისი წარმომადგენლებით, ლობისტებით, პიარისტებით ავრცელებენ ინფორმაციას და ქმნიან ისეთ სურათს, თითქოს საქართველო იყოს შოვინისტების, ჩამორჩენილი, უკანდარჩენილი კონსერვატიული საბჭოთა მენტალობის, არატოლერანტული და უმცირესობის დამჩაგვრელი ხალხის ქვეყანა, ეს სურათი მთლიანობაში არის ის რაც ეწინააღმდეგება ქართულ ფასეულობებს, ღირებულებებს და ისტორიას, მაგრამ ამით, მათ უნდათ, რომ თავი გამოიჩინონ გარეთ და ჯერ კიდევ მათი მხარდამჭერები ცდილობენ, თავი წარმოადგინონ ერთადერთ პროგრესულ ძალად, რომელსაც შეუძლია ეს ქვეყანა გამოიყვანოს ამ ჩავარდნილი მდგომარეობიდან. ეს არის ძალიან საშიში ტენდენცია, როგორც ეს ხელისუფლება არ მოერიდა იმას, რომ ტერიტორიები გაეწირა თავისი ძალაუფლების გადასარჩენად, ასევე არ ერიდება იმას, რომ საქართველოს და მთლიანად ჩვენ ისტორიას და სახეს გადაუაროს, იმისთვის, რომ თვითონ რალაცნაირად, კიდევ ცოტა ხნით შეინარჩუნოს ძალაუფლება. ასევე შიგნით მიდის პროვოცირება ხელისუფლებისგან, შეიძლება თქვენ ნაკლებად ამჩნევდეთ ამას ვიდრე მე, მაგრამ მიდის ანტიდასავლური მიდგომობის პროვოცირება, ხელისუფლება ყველანაირად მუშაობს იმაზე, რომ ხალხმა დაიჯეროს ის, რომ დასავლეთი, ეს არის გლობალური ტერმინი, ევროპა ამერიკა, ისინი ვინც არიან ჩვენი ბუნებრივი მოკავშირეები, საზოგადოებას წარმოუდგინოს, როგორც ჩვენ ფასეულობებთან მებრძოლი და მხარს უჭერენ ამ ხელისუფლებას, ესეც არის მოჩვენებითი, ორივე მხრიდან მუშაობს ხელისუფლება პროპაგანდისტულად, რადგან სხვა რამ არ იცის და არც გააჩნია და გვაყენებს იმ მდგომარეობაში, რომელიც არ არის ქართული მდგომარეობა, საქართველოს დასავლურობა, არ არის ვიღაცის მოსაწონად, არ არის იმისთვის, რომ ვიღაცამ მხარი დაგვიჭიროს, ეს არის ჩვენი წარსული, ჩვენი ისტორია და ერთადერთი მომავალი, სხვა ალტერნატივა საქართველოს არ გააჩნია. ჩვენ ეს კარგად უნდა შევიგნოთ და დავანებოთ თავი ამ ლაპარაკს, იქ ვიღაცამ მხარი არ დაგვიჭირა, ელჩი არ გამოვიდა კარგად, ელჩები თავის საქმეს აკეთებენ, დღევანდელ მსოფლიოში, მხარს უჭერენ მუბარაქებს და სხვებს სანამ ისინი არიან ხელისუფლებაში და არ გამოჩნდება ხალხის ნება, რომ სხვას დაუჭირონ მხარი, ეს ჩემზე უკეთ მგონი არავინ იცის, ეს არის მიღებული დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში. ჩვენი არჩევანი არის ჩვენზე დამოკიდებული, ჩვენი არჩევანი არის დასავლური, დემოკრატიული თავის ყველა მნიშვნელობით, მაგრამ ჩვენი არჩევანი პირველ რიგში არის ქართული იმ კარგი მაღალი გაგებით, ტოლერანტული, ძლიერი საქართველო. საქართველო, რომელიც თავის მეზობლებთან, თავის უმცირესობებთან იცის, როგორ იყოს წამყვანი ძალა, ის ძალა რომელიც არის დადებითი, პროგრესული და წინწამსვლელი. ეს არის ჩვენი როლი ამ რეგიონში, ეს არის ისტორიული როლი და არ შეიძლება, რომ ამას გადავუხვიოთ, ამიტომ მე ჩამოვედი არა სამუდამოდ, კვირა დილით მივდივარ და მინდა, რომ საზოგადოებამ ყველაფერი იცოდეს, მე არაფერს არ ვმალავ და ყველაფერი ნათელია. ჩამოვედი და ვთვლი, რომ დუმილის დრო დამთავრდა და მინდა საჯაროდ გამოვუცხადო მხარდაჭერა ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“. მე პიროვნულად უკვე გამოვუცხადე მას მხარდაჭერა, მაგრამ დღეს ამას ვაკეთებ საჯაროდ.

ვინც მე მენდობა და ჩემი სჯერა, ეს არის ერთადერთი ალტერნატივა ამ ქვეყნის გადარჩენისთვის, ამიტომ ჩვენ უნდა დავეხმაროთ, რომ გაიმარჯვოს ამ ძალამ და მოვიშოროთ ის კიბო, რომელიც არის გავრცელებული ამ ქვეყანაში. მე მხარს ვუჭერ ბიძინა ივანიშვილს, არა როგორც პიროვნებას, თუმცა, მისი ბიოგრაფიიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ იგი არის ადამიანი, რომელიც იმსახურებს, იყოს ქვეყნის სათავეში და თავისი ნიჭი და გამოცდილება გამოიყენოს ამ ქვეყნისთვის. მე მხარს ვუჭერ ბიძინა ივანიშვილს, მის მიერ შერჩეულ სტრატეგიას, ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის თაობაზე. ჩემი პოზიცია და ჩემი პარტიის პოზიცია ყოველთვის იყო ის, რომ ეს ხელისუფლება უნდა შეიცვალოს არჩევნებით და არა დავიდარაბით. მე ვუჭერ მხარს ასევე მის სტრატეგიას და მის მიერ შერჩეულ გუნდს. არსებობს ბევრი ჭორი, რომელიც არის ხელისუფლების მიერ გავრცელებული, ცხადია, ქართველები ვართ და არ გვაკლია ერთმანეთთან დაპირისპირება, მაგრამ არსებობს სერიოზული გუნდი, რომელსაც გააჩნია სერიოზული ღირებულებები, ამიტომ ეს არის ის გუნდი, რომელსაც მე გარედან სრულიად ვუჭერ მხარს.

შევხვდი ბიძინა ივანიშვილს, ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა, მანამდე არასდროს შევხვედრილვართ, ვიცნობდი მხოლოდ ტელევიზიებით, ჩვენ ხედვებში ბევრი თანხვედრაა. შევთანხმდით შემდეგ პუნქტებზე. შევთანხმდით, რომ ამ ეტაპზე საქართველოში აუცილებელი არ ვარ, შესაბამისად, ისევ ჩემს საქმიანობას დავუბრუნდები, ყოველ შემთხვევაში დროებით და იქ ვიმუშავებ საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ და გამოვიყენებ ჩემ გამოცდილებას და კონტაქტებს.

მე არ ვიქნები მაჟორიტარი კანდიდატი, დიდი ბოდიში ფოთელებს, მათ ეყოლებათ კარგი მაჟორიტარი, რომელსაც მე მხარს ვუჭერ, ამ ჩემთვის საყვარელი ქალაქისთვის მე ბევრი რამის გაკეთებას შევძლებ. არც სიაში ვიქნები, ჩვენ შევთანხმდით, რომ მე დავიწყებ სახელმწიფო საქმიანობას, როცა ამის დრო დადგება და გარწმუნებთ, რომ ეს დრო მალე მოვა. ამ ეტაპზე რომელიმე კონკრეტულ პოსტზე საუბარი არ არის, თქვენ იცით ბიძინა ივანიშვილის პოზიცია, რომ დღეს პოსტების განაწილების დრო არ არის და არც იქნება კარგი. მე ეს არც მინდა, იმიტომ, რომ მე არც ერთ პოსტზე არ ვარ კანდიდატი და ამავდროულად ყველგან ვარ კანდიდატი, ანუ მე ამ ქვეყნისთვის მზად ვარ ვიმსახურო ყველგან, სადაც საქართველოსთვის სასიკეთო საქმეს გავაკეთებ, ჩემი გამოცდილებით და კონტაქტებით, არა მარტო ჩემი ძალით, რადგან მე ახლა წარმოვადგენ ორ ადამიანს, ჩემ თავს და ახლახან გარდაცვლილი ჯანრი კაშიას, ამიტომ ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს შევასრულო.

რაც შეეხება ჩემ პარტიას, ყველამ იცის, რომ არის ერთ-ერთი ყველაზე სინდისიერი, პატიოსანი პარტია, მაგრამ არ არის ძლიერი ფულით. ცხადია, რომ პარტია, რომლის ლიდერიც წასულია, მას გარკვეულ პირობებში უჭირს, მაგრამ მე შემიძლია ვთქვა, რომ ამ რთულ პერიოდში ამ პარტიამ თავისი როლი შეასრულა. ჩემი წარმოდგენა და ბიძინა ივანიშვილის წარმოდგენაც ასეთია, რომ არ არის აუცილებელი ყველა პარტია იყოს ერთ დიდ პარტიაში. საჭიროა ყველა პარტიამ შეინარჩუნოს იდენტობა. ეს პატარა პარტია თავის გზას გააგრძელებს, ცხადია, რომ მეც და პარტიაც ვუცხადებთ სრულ მხარდაჭერას, ჩვენ არ ვიქნებით კონკურენციისა და თავდასხმების რეჟიმში, მაგრამ მხარს დავუჭერთ და განვავრცობთ მრავალპარტიულ სისტემას, რადგან ეს არის ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა.

ჩემი მხარდაჭერა არ არის მხოლოდ განცხადება, შევთანხმდით იმაზე თუ რის გაკეთებას შევძლებ მე დღევანდელ პირობებში, უცხოეთში ცხოვრობს ძალიან ბევრი ადამიანი, რომლის გამოცდილებაც ქვეყანას სჭირდება. ამიტომ მე „ქართულ ოცნებას“ ამ კადრების მოზიდვაში დავეხმარები. მე ეს როლი ძალიან მიზიდავს, რადგან ეს არის საქართველოსთვის ერთ-ერთი სისუსტე, რომელიც არ გადაწყდება არსებული ხელისუფლების წასვლით. უნდა ვიშრომოთ და ვიზრუნოთ, რომ ხალხი დაბრუნდეს საზღვარგარეთ მიღებული გამოცდილებით, მათი სამშობლო არის აქ, ჩვენ ეს სამშობლო მათთვის უნდა მოვამზადოთ, მაგრამ მათაც უნდა მიიღონ მონაწილეობა ამ ქვეყნის მშენებლობაში. ჩვენ ერთად უნდა გავაკეთოთ საქმე და ამ საქმეში მე ჩემ ადგილს დავიკავებ, ჩემსას შევასრულებ, ჩვენ გავიმარჯვებთ, საქართველო გაიმარჯვებს“, — აცხადებს ზურაბიშვილი.

**გვანცა ფიფია**

## რატომ გაძვირდა მგზავრობა?

# ბეჟაშვილი ყვითელ მიკროავტობუსებს „გაათეთრებს“?!

**სახელმწიფო** აუდიტის სამსახურის (კონტროლის პალატის) უფროსის ლევან ბეჟაშვილის განცხადებით, მათი უწყება, შესაძლოა, ყვითელი სამარშრუტო ტაქსების ტენდერითაც დაინტერესდეს. მართალია, დედაქალაქის საკრებულოს ოპოზიცია დიდი ხანია პირდაპირ პროკურატურის საქმეში ჩართვას ითხოვს, მაგრამ „თბილისის მიკროავტობუსში“ აქამდე არც პროკურორი გამოჩენილა და არც სახელმწიფო აუდიტორი.

თბილისის სატრანსპორტო სფეროს მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი ყოველთვის დიდი იყო. ამიტომ საზოგადოებას აინტერესებდა რომელიმე სახელმწიფო უწყება და მათ შორის კონტროლის პალატა აქამდე რატომ არ ინტერესდებოდა ყვითელი სამარშრუტო ტაქსების ტენდერში გამარჯვებული კომპანიების საქმით, რომლებიც საჯარო რეესტრში ერთ დღეს ხუთწუთიანი ინტერვალის დაშორებით დარეგისტრირდნენ, ახლა კი ერთ კომპანიად არიან გაერთიანებული. ამის შესახებ ლევან ბეჟაშვილი განმარტავს, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური 2010 წლამდე თვითმართველ ორგანოებს არ ამოწმებდა, ტენდერი კი 2010 წელს ჩატარდა, თუმცა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, შესაძლოა, ამ საქმით მომავალში დაინტერესდნენ.



სააგენტო „მედიანიუსის“ კითხვაზე — **როდესაც კომპანიების ხელოვნურად შექმნის ფაქტი დასტურდება, მაშინ სახელმწიფო აუდიტის სამსახური რა რეაგირებას ახდენს?** — ქვეყნის მთავარმა აუდიტორმა განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში მათი უწყების მიერ მოძიებული მასალები პროკურატურას ეგზავნება.

სამარშრუტო ტაქსების ტენდერი 2010 წლის ბოლოს გამოცხადდა. ტენდერში გამარჯვებულად მერიამ ოთხი კომპანია შპს „თბილ ლაინი“, შპს „კაპიტალ გრუპი“, შპს „თბილ ქარი“ და შპს „ფაბლიქ ქარი“ დაასახელა. კერძოდ, ვაკე-საბურთალოსა და გლდანი-ნაძალადევის ლოტში შპს „თბილ ლაინმა“ გაიმარჯვა, ძველი თბილისი-დიდგორის რაიონში — შპს „კაპიტალ გრუპმა“, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში — შპს „თბილ ქარმა“, ხოლო ისანი-სამგორის რაიონში — შპს „ფაბლიქ ქარმა“.

ტენდერის დასრულებისთანავე ოპოზიციის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა წარადგინეს დოკუმენტაცია, რომლის თანახმად, აღნიშნული კომპანიები ტენდერამდე ცოტა ხნით ადრე ერთ ნოტარიუსთან, ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე მისამართზე 5-წუთიანი ინტერვალის დაშორებით, დარეგისტრირდნენ. ამასთან, ოთხივეს წესდება იდენტური იყო. მათი საწყისი კაპიტალი კი 100 ლარს არ აღემატებოდა. ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიებს 2011 წლის 15 იანვრამდე თბილისის მასშტაბით 2600 სამარშრუტო ტაქსი (პლუს 400 სარეზერვო მანქანა) უნდა შემოეყვანა. ტენდერში გამარჯვების შემდეგ ოთხი კერძო კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ ქოლგის ქვეშ გაერთიანდა. მოგვიანებით, ტენდერში გამარჯვებულნი ერთ კომპანიად გაერთიანდნენ.

აღნიშნული მასალების საფუძველზე, ოპოზიციამ თბილისის მერიის მაღალჩინოსნები, მათთან დაახლოებული პირების მიერ კომპანიების ხელოვნურად შექმნასა და ტენდერის გაყალბებაში დაადანაშაულეს.

**„ყველა გამარჯვებული კომპანია რეგისტრირებულია ერთსა და იმავე მისამართზე, ყველა რეგისტრირებულია ერთსა და იმავე ნოტარიუსთან, ერთსა და იმავე დროს, მოსაკრებელი ბანკში გადახდილი აქვთ ერთდროულად და ერთი და იგივე იურისტი ემსახურებოდათ“,** — აცხადებდა საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატი თინა ხიდაშელი, რაზეც ერთ-ერთ გამარჯვებული ფირმის — „თბილ ლაინის“ წარმომადგენელი დავით ასანიძე ასე პასუხობდა:

**„როდესაც ეს გადავწყვიტეთ, ჩვენ ახალი ფირმები დავაფუძნეთ, იმიტომ რომ ახალ საქმეს როცა იწყებ, ძველი ფირმით არავინ იწყებს. მერე ძველი შეცდომა წინ რომ დაგხვდეს? ამიტომ გადავწყვიტყეთ, რომ დავაფუძნოთ ახალი ფირმები და გავაკეთოთ ერთიანი წინადადება ფორდისთვის და მივიღებთ კარგ ფასს“.**

ტენდერის პირობების თანახმად მათ კეთილმოწყობილი ყვითელი მიკროავტუბუსების დედაქალაქის მასშტაბით ყველა ხაზზე 2011 წლის ბოლომდე უნდა შემოეყვანათ, ერთ კომპანიად გაერთიანებულმა „ოთხეულმა“ კი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები დაარღვია, რადგან მიკროავტობუსების შემოსაყვანად შესაბამისი კაპიტალი არ გააჩნდათ. ამ თანხის მოსახლეობის ჯიბიდან ამოღების მიზნით, „თბილისის მიკროავტობუსმა“ სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის ფასი 50 თეთრიდან 80 თეთრამდე გაზარდა.

**გიორგი ბექაური,**
For.ge

ახალი სამხედრო კონცეფცია



**„არც მშვიდობიანობის დროს და არც ომში არც ერთ ადამიანს არ მივატოვებთ", — ასეთია თავდაცვის სამინისტროს ახალი კონცეფცია. ეტყობა, ამ ისედაც ბანალურ ფრაზას შეხსენება იმიტომ დასჭირდა, რომ აგვისტოს ომის დროს სახელმწიფოსგან მიტოვებული იყო არა მარტო შიდა ქართლის მშვიდობიანი მოსახლეობა, არამედ ახალგაწვეულები და რეზერვისტებიც, რომლებიც, უმეთაუროდ დარჩნენ და აღარ იცოდნენ, როგორ გამოეღწიათ.**

**თავდაცვის უწყების ახლადდანიშნულმა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა სხვა კონცეფციებიც გაახმიანა. კერძოდ, შაშკინის თქმით, საქართველოს ხელისუფლება სამი „T"-ს კონცეფციაზე მუშაობს: „Total care" — (ტოტალური ზრუნვა), „Total training" — (ტოტალური მომზადება) და „Total defence" — (ტოტალური თავდაცვა).**

**რას ნიშნავს ზემოხსენებული ახალი კონცეფციები და ხომ არ აპირებენ მთელი საქართველოს რიგით ჯარისკაცებად გადამზადებას?! ამის შესახებ For.ge-ს სამხედრო ექსპერტი გიორგი მელითაური ესაუბრა.**

# ომისა და მშვიდობიანობის დროს ხელისუფლება უყურადღებოდ არ მიგვატოვებს?!



**— როგორ აღიქვით ფრაზა — არც მშვიდობიანობის დროს და არც ომში არც ერთ ადამიანს არ მივატოვებთ? ეს ხომ ისედაც აპრიორია, რომ სახელმწიფომ არც ერთი ადამიანი არ უნდა მიატოვოს ომში?**

— ზოგადად თვითონ კონცეფციის გაჟღერება პიარული ნაბიჯია, ანუ ფაქტობრივად, სჯობდა ჯერ კონცეფციაზე მუშაობა დაემთავრებინათ და შემდეგ გამართულიყო მსჯელობა. ეს იქნებოდა კარგი და საფუძვლიანი მიდგომა. თუმცა, ეს პიარი თანმდევი პროცესია, ახლა მარტო ნაციონალურ მოძრაობას ნუ გავაკრიტიკებთ ამისთვის, რადგან პოპულიზმი მთელ ჩვენს პოლიტიკურ სპექტრს ახასიათებს და, ზოგადად, დემოკრატიის გვერდითი მოვლენაა, მით უმეტეს, 21-ე საუკუნის საინფორმაციო ნაკადის დროს.

თავდაცვის სამინისტროსგან გაჟღერებული სამივე პრინციპი აუცილებელია, მეტიც, დიდი ხანია, დეკლარირებული უნდა ყოფილიყო. პირველი პრინციპი, რომ „არ მივატოვებთ არც ომში, არც მშვიდობიანობის დროს", — ეს დეკლარირება, უკვე მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან ზუსტად ასახავს შეიარაღებული ძალების მოწყობის ძირითად პრინციპს. ეს არის პრინციპი, რასაც მოჰყვება ნორმატიული აქტები, ძმედებები, რეგულაციები. ჯარისკაცმა უნდა იცოდეს, რომ, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნება, მთელი შეიარაღებული ძალები, მიუხედავად იმისა, რომ ის არის ერთი ჯარისკაცი, იმოქმედებენ მანამდე, სანამ მას მკვდარს ან ცოცხალს არ დაიბრუნებენ. რა თქმა უნდა, იზრუნებენ იმაზე, რომ სიცოცხლე გადაარჩინონ, მაგრამ არც ერთი ჯარისკაცი არ იქნება მიტოვებული.

**— ანუ, როდესაც უკვე წაგებულია ომი, როგორც ეს აგვისტოს დღეებში მოხდა, მაინც უნდა შეაკლან ყველა სხვა ძალა ამ ერთი ჯარისკაცის გადარჩენას?**

— აქ საბრძოლო მოქმედებაზე არ არის საუბარი. დავუშვათ, თუ ქართველი ჯარისკაცი ჩარჩა ცხინვალის ციხეში, პარალელურ რეჟიმში, ყველანაირ ზომას გამოიყენებენ, როგორც მოლაპარაკების გზით, ისე, სპეცოპერაციის მხრივ, რათა ეს ჯარისკაცი გამოიხსნან. რაც შეეხება საბრძოლო მოქმედებებს, მათ თავიანთი სქემები, ტაქტიკური მონახაზი აქვთ. ამ შემთხვევაშიც კი, ბრძოლის ველზე განსხვავებული მიდგომაა. მაგალითისთვის, მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანულ ქვედანაყოფებს, გერმანელ მეთაურს ჰქონდა ვალდებულება, ნებისმიერი ჯარისკაცი ჩაესვენებინა კუბოში და გაეგზავნა უკან, გერმანიაში. საბჭოთა მეთაურებს ასეთი განკარგულება არ ჰქონდათ, ამიტომ, მათ შეეძლოთ ნებისმიერი ჯარისკაცი, რომელიც დაიღუპებოდა, ბრძოლის ველზე მიეტოვებინათ და ამისთვის მათ პასუხს არ მოსთხოვდნენ. ანუ, გერმანელების შემთხვევაში, ეს რეგულირდებოდა კანონმდებლობით, რუსების შემთხვევაში კი, ასეთი რეგულაცია არ იყო. შესაბამისად, განსხვავებული მსხვერპლი იყო.

გერმანელი მეთაური, რომელსაც ასეთი განკარგულება ჰქონდა, გაცილებით უფრთხილდებოდა თავის ჯარისკაცს. მართალია, ასეთი სამწუხარო ფაქტი მომყავს, მაგრამ ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჯარისკაცის მორალისთვის. ჯარისკაცმა, რომელმაც იცის, რომ მას არ მიატოვებენ, რა თქმა უნდა, მისი საბრძოლო სულისკვეთება გაცილებით მაღალი იქნება. მაგრამ პარალელურ რეჟიმში, მშვიდობიანობის დროსაც, რა დააშავა ჯარისკაცმა, რომელსაც სურს, ღირსეულად იცხოვროს?! თუ ჯარისკაცს ჩვენ მივცემთ 100 ლარს, შესაძლოა, ასეთი ჯარისკაცი, იაფი დაუჯდეს სახელმწიფოს, მაგრამ ჩათვალეთ, რომ ჯარისკაცი სახელმწიფოს არ ჰყავს. მას უნდა ჰქონდეს მოტივაცია, უნდა იცოდეს, რომ რისკიანი პროფესია აირჩია, მაგრამ, მისი სიცოცხლის რისკის საფასურად, სახელმწიფო მას გვერდით უდგას, იქნება ეს ჯარისკაცის ჯანმრთელობის პრობლემა თუ საყოფაცხოვრებო, სოციალური საკითხები, სახელმწიფო მის პრობლემას ინდივიდუალურად უნდა მიუდგეს და არა ბიუროკრატიის ენაზე.

**— მაინცდამაინც ახლა ამ ლოზუნგის გახმიანება რისთვის გახდა საჭირო? ხომ არ იკლო ინტერესმა ჯარში წასვლის მიმართ? მართლაც ნებაყოფლობით მიდიან ადამიანები ჯარში თუ მხოლოდ ღარიბი ოჯახის შვილები ხვდებიან ამ ადგილას? ამ კონცეფციის გახმიანებას იმანაც ხომ არ უბიძგა, რომ აგვისტოს ომის დროს რეზერვისტები, ჯარისკაცები მტერს შეატოვეს, ასევე, მიატოვეს დაღუპული ჯარისკაცები და, რომ არა ჩვენი სასულიერო პირების ძალისხმევა, მათი გვამები გაიხრწნებოდა. ასეთი უსულგულო დამოკიდებულების გამო ხომ არ იმატა ნიჰილიზმმა ჯარში წასვლასთან დაკავშირებით და ხომ არ დაინახა თავდაცვის უწყებამ საკუთარ თავში შეცდომა, როცა მხოლოდ რეზერვისტებს შეატოვეს ომი და გენერლები გარბოდნენ?!**

> **ასეთი უსულგულო დამოკიდებულების გამო ხომ არ იმატა ნიჰილიზმმა ჯარში წასვლასთან დაკავშირებით და ხომ არ დაინახა თავდაცვის უწყებამ საკუთარ თავში შეცდომა, როცა მხოლოდ რეზერვისტებს შეატოვეს ომი და გენერლები გარბოდნენ?!**

— დიახ, ჟურნალისტებმა სწორედ ასე უნდა დასვან შეკითხვა, რადგან, სიმართლის გარკვეული მარცვალი ამაში არის. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი, როცა შეიარაღებულ ძალებში მსახურების მოტივაცია დაიკარგა. მოტივაციის გარკვეული წილი არის ფინანსური ანაზღაურებაც, რადგან, თუ შევარდნაძის პერიოდში 400 ლარი საკმაოდ დიდი ანაზღაურება იყო და მაშინ ასეთი სამსახური იშვიათი იყო, უკვე 2005-2008-2012 წლებში 400 და 500 ლარი აღარ არის მიმზიდველი. შესაბამისად, სუბიექტურმა და ობიექტურმა პირობებმა განაპირობეს ის, რომ შეიარაღებულ ძალებში წასვლის მსურველთა კონკურენცია რაოდენობრივად შემცირდა და, ასევე, გაუარესდა მისი ხარისხობრივი მაჩვენებელი. თავისთავად, ეს სიტუაცია გამოსასწორებელია. თუ ვთანხმდებით, რომ საქართველოს უნდა ჰყავდეს ძლიერი შეიარაღებული ძალები, შესაბამისად, შეიარაღებული ძალების მშენებლობას უნდა მივუდგეთ აპრობირებული მეთოდოლოგიით, რასაც წარმატებით იყენებს გერმანია, საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი. ამიტომ მოტივაციაა მთავარი.

თუ ჩემგან გინდათ, რომ მე ვიყო პროფესიონალი სამხედრო, ეს ნიშნავს, რომ მე უნდა გავაკეთო ჩემი საქმე, სხვა მეორეხარისხოვანი საქმეები უნდა ჩამომაშოროთ. შესაძლოა, ხელფასი არ მქონდეს მაღალი და კერძო სექტორში უფრო მეტი შემოსავალი იყოს, მაგრამ ხელფასი უნდა იყოს სტაბილური, გარანტირებული და უნდა ვიცოდე, რომ პენსიამდე და პენსიის დროსაც მექნება გათვლადი ფინანსური შემოსავალი, რომლითაც ღირსეული ცხოვრება შემეძლება. სამაგიეროდ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ კარგად ვიცოდე სროლა, ტაქტიკური ილეთები და სხვა.

**— ჯარისკაცმა კარგად უნდა იცოდეს სროლა, რომ თავის სამშობლოს გამოადგეს, მაგრამ ჩვენი საზოგადოებისთვის საჭირბოროტო თემასაც შევეხოთ, რომელიც ავღანეთსა და ერაყში ჩვენი ბიჭების დაღუპვას საზარბაზნე ხორცად აღიქვამს. „არ მივატოვებთ ადამიანებს", — ამ კონცეფციაში ისიც თუ იგულისხმება, რომ ავღანეთსა და ერაყშიც არ უნდა მიატოვონ ქართველი ჯარისკაცები?! თუ ხელისუფლება მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ საავადმყოფოს პალატაში დაჭრილ ჯარისკაცს მოინახულებს, ისიც საკუთარი პიარისთვის? ასეთ ცხელ წერტილებში, რომელიც ჩვენი სამშობლო არ არის და სხვისი ომია, რატომ არ ხდება ასეთივე მზრუნველობის გამოჩენა ქართველი ჯარისკაცების მიმართ?**

— სამწუხაროდ, თავდაცვის უწყება საზოგადოებისგან რკინის ფარდითაა გამოყოფილი და ხალხმა არ იცის ბევრი რამ, რაც ხდება. გარკვეულწილად, კარგიც ხდება. ნებისმიერი დაზარალებული (2008 წელს ან ნებისმიერ კონფლიქტებში, ავღანეთსა და ერაყშიძ საკმაოდ კარგად არის უზრუნველყოფილი. დაღუპულისა და დაჭრილის ყველა ოჯახი სახელმწიფოსგან მაქსიმუმს იღებს. თუმცა გაუცხოება აქვთ ჟურნალისტების მიმართ, რადგან ზოგჯერ ჟურნალისტი სკანდალურს ეძებს.

**— არის მოსაზრება, რომ მეტია დაღუპული და არა ის ციფრი, რასაც აცხადებენ.**

— მე რეალურ ინფორმაციაზე მიმიწვდება ხელი. გარდა ამისა, არსებობს ამერიკული საიტი, რომელიც აქვეყნებს ყველა ქვეყნის დაღუპულ ჯარისკაცთა სიას. აქ ფაქტების დამალვა არ ხდება. შესაძლოა, ქართულმა მხარემ რაღაც დამალოს, მაგრამ ნებისმიერი საერთაშორისო ოპერაციის დროს ერთი დამალული ფაქტიც კი პოლიტიკურ კრიზისს გამოიწვევს იმ კონკრეტულ ქვეყანაში, რომელიც ამ ფაქტს დამალავს. შესაძლოა, დრო და ვითარება გასაიდუმლოებული იყოს და ეს თავიდანვე დეკლარირებულია „აისაფის" ოპერაციის მმართველობის მხრიდან. დაღუპვის ვითარება, დრო და ადგილი, შესაძლოა, არ დასახელდეს და ჟურნალისტებს მიეწოდოთ მხოლოდ ის ინფორმაცია, რასაც ხელმძღვანელობა ჩათვლის საჭიროდ. ეს ამ ომის თავისებურებაა და ამას უნდა შევეგუოთ.

რაც შეეხება ტერმინს — საზარბაზნე ხორცი, თუ ამ ტერმინს იყენებს ექსპერტი ან პოლიტიკოსი და თვლის, რომ ჩვენი ჯარისკაცები მართლაც საზარბაზნე ხორცად მიჰყავთ და ეს არ არის მეტაფორა ემოციური სპეკულაციებისთვის, მაშინ ეს ადამიანი დღედაღამ უნდა აპროტესტებდეს „აისაფის" მისიას, მთავრობის სასახლის წინ იდგეს და სხვა ყველაფერი გადადოს. თუ ვინმე თვლის, რომ 200 ადამიანი ნამდვილად საზარბაზნე ხორცია, მან პროტესტი არ უნდა შეწყვიტოს. სინამდვილეში, ეს არ არის საზარბაზნე ხორცი, ესაა რისკიანი საბრძოლო ოპერაცია, რომელიც სამშვიდობო მისიის ეგიდით ტარდება, მაგრამ ეს არის ის ხარჯი, რომლის გაწევასაც საქართველოს აიძულებს ჩვენი პოლიტიკური კონიუნქტურა. ვგულისხმობ რუსეთთან დაპირისპირებას. მომავლის იმედად, დღევანდელი დღე არ უნდა განისაზღვროს. შესაძლოა, მომავალში ვინმემ მართლა დაალაგოს რუსეთთან ურთიერთობა, რაც პირადად მე მეეჭვება, მაგრამ დღეს ამ ქვეყანასთან დაუმთავრებელი ომი გვაქვს, რომელიც საზავო მოლაპარაკებით არ დასრულებულა. მართალია, შეჩერებულია საბრძოლო მოქმედება, მაგრამ, რაკი ომი გრძელდება, ჩვენ მარტონი, ვინმეს მხარდაჭერის გარეშე, რუსეთს ვერ გავუმკლავდებით. იმისთვის, რომ ევროპელმა პოლიტიკოსმა თავის ობივატელს დაუდასტუროს, რომ საქართველოს გამო ღირს გარისკვა, ნებისმიერ ევროპელ პოლიტიკოსს სჭირდება არგუმენტი და ზუსტად ეს არგუმენტია საქართველოს მონაწილეობა „აისაფის" ოპერაციაში.

**— ახალ კონცეფციაში ასეთი ფრაზებიცაა — ტოტალური თავდაცვა, ტოტალური ზრუნვა. რისთვის ვემზადებით?! ისევ ომი, რუსეთიდან მომავალი საფრთხე თუ ხალხის დაშინება არჩევნების წინ?**

— მოდით, დაშინება-არდაშინებაზე პოლიტიკოსებმა ისაუბრონ. ნებისმიერ შემთხვევაში, მოსალოდნელია თუ არა ომი, ქვეყანა მზად უნდა იყოს ჰიპოთეტური სცენარებისთვისაც კი. მით უმეტეს, როცა ასეთი საფრთხე არსებობს. თუ ჩვენ უსაფრთხოების კონცეფციას ვიღებთ, როგორც საფუძველს, და საფრთხედ განსაზღვრულია რუსეთი, შესაბამისად, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა გაატაროს ღონისძიებები, მათ შორის, თავდაცვის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ამ საფრთხის მოგერიებას. ამიტომ, ტოტალური თავდაცვა არის სტრატეგია, რომლითაც ამ საფრთხის უკუგდება მოხდება. როდესაც დაიდება კონცეფცია, თუ რა პრინციპები და მეთოდები იქნება გამოყენებული ტოტალური თავდაცვის უზრუნველსაყოფად, შემდგომ შეიძლება კონკრეტულად საუბარი, მაგრამ თვითონ ტოტალური თავდაცვის იდეაა ის, რომ საქართველოს დაცვა ნებისმიერი ქართველის, საქართველოს მოქალაქის ვალდებულებაა, რაც ძალიან სწორია. ოღონდ ადამიანებს უნდა მივცეთ ამ ვალდებულების შესრულების უფლება. ხელისუფლებამ უნდა მიაღწიოს, რომ ნებისმიერმა ადამიანმა ეს გაითავისოს. ამის დაძალება არ შეიძლება.

**— ანუ ადამიანს ჯარში წასვლა თუ არ უნდა, არ უნდა წაიყვანონ?**

— არაა აუცილებელი, ყველამ თოფი აიღოს ხელში, მაგრამ თქვენ, როგორც მანდილოსანმა, შესაძლოა, დამატებით პროფესიად აიღოთ მედდობა, შეისწავლოთ და, ომის შემთხვევაში, თუ ძალიან გართულდა სიტუაცია, მესამე ეშელონში გაგიწვიონ, როგორც მედდა. არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც ავტომატით ხელში წახვიდეთ წინა ხაზზე. სახელმწიფო ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ომის შემთხვევაში, ერთიან მექანიზმად ამუშავდეს.

**— მაგრამ საქართველო ისრაელი ხომ არ არის, რომ „ყველანი ომში, ყველანი ჯარისკაცებად"? იქითკენ ხომ არ მიდის საქმე, რომ მუდამ საომარი ვითარება გვიწერია?**

— ეს არ იქნება ტვირთი სახელწიფოსთვის. პირიქით, ეს ქართველების დაახლოების უდიდესი სტიმული იქნება. დამერწმუნეთ, აფხაზეთში როცა მყავდა ქვედანაყოფი, ჩემს ქვედანაყოფში იყო ოსიც, სომეხიც, იეზიდიც და ისინი მეგობრები გახდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ახალწვეულები იყვნენ, 18 წლის ბიჭები. ისინი არ იყვნენ მოხალისეები, მათ არანაირი ეთნიკური პრობლემები ერთმანეთში არ ჰქონდათ. ერთნაირად გულითა და სულით იბრძოდნენ საქართველოსთვის და ბოლომდე მეგობრებად დარჩნენ. ერთიანობის განცდა, დისციპლინარულ ჩარჩოებში ერთი საქმისთვის სამსახური, აახლოებს საზოგადოების წევრებს. ამიტომ, ეს კარგი იქნება. მით უმეტეს, საქართველო ყოველთვის ასეთი სახელმწიფო იყო, რომელშიც არსებობდა ქუდზე კაცის ინსტიტუტი. ქუდზე კაცი — ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე რთული რეზერვის სისტემა, რომელიც ევროპამ მე-17 საუკუნის ბოლოს დაიწყო, საქართველოში კი ეს გვქონდა.

> **ტოტალური თავდაცვა, ტოტალური ზრუნვა. რისთვის ვემზადებით?! ისევ ომი, რუსეთიდან მომავალი საფრთხე თუ ხალხის დაშინება არჩევნების წინ?**

ნებისმიერმა ადამიანმა იცოდა თავისი ადგილი და მზად იყო, საკუთარი ადგილი დაეკავებინა ერთიან სამხედრო მანქანაში. აქედან გამომდინარე, ეს არ არის ისრაელი, ისრაელს ამის ტრადიცია არ აქვს, ისრაელმა ეს გათვლებით, მექანიკურად შექმნა, ხოლო საქართველოს ეს აქვს სისხლში, ტრადიციაში და ასე იყო საქართველო მოწყობილი, როგორც მინიმუმ, ფარნავაზიდან მოყოლებული.

**მარიამ ლოლაშვილი**

ყველა ცრუი...



# პროფესია — გამყალბებელი

## როგორ იქნება სამართლიანი ლევან თარხნიშვილის მიერ ჩატარებული კვლევა?

**როგორც მოსალოდნელი იყო, NDI-ს კვლევები უმალვე აიტაცა ნაცმოძრაობამ. საპარლამენტო უმრავლესობა NDI-ს კვლევების შედეგებით კმაყოფილი და საკუთარი „ამომრჩევლის“ მადლიერია. მეტიც, ნაცმოძრაობისთვის NDI-ს კვლევა მნიშვნელოვანია, რადგან ის თურმე კვალიფიციური და კომპეტენტურია.**

სამაგიეროდ, კოალიცია „ქართული ოცნება“ NDI-ს კვლევის შედეგებს უნდობლობას უცხადებს. როგორც კოალიციის პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ აღნიშნა, მათი მთავარი ინდიკატორი არის არა რომელიმე ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული ციფრები, არამედ მხარდამჭერთა ის უპრეცედენტო რაოდენობა, რომელიც მათ მიერ ჩატარებულ ხუთივე აქციაზე აღინუსხა.

**„ჩვენი პოზიცია არ შეცვლილა, NDI-ს და არც სხვა ორგანიზაციის გამოკითხვებს არ ვენდობით. გააჩნია მათ წარმომავლობას, დაფინანსების წყაროებს და მეთოდიკას. ჩვენ არ ვიცნობთ მეთოდოლოგიას, არ ვიცით, როგორაა ჩატარებული საველე სამუშაოები. აქედან გამომდინარე, ჩვენი მთავარი ინდიკატორი არ არის რომელიმე ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული ციფრები, ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი რამ — „ქართული ოცნების“ მიერ ჩატარებულ ხუთივე აქციაზე ჩვენი მხარდამჭერების რაოდენობა უპრეცედენტო იყო“,** — აცხადებს მაია ფანჯიკიძე და საკუთარი ნათქვამის მიუხედავად, დიდ პატივისცემას გამოხატავს ამერიკული ორგანიზაციების მიმართ.

საიდან გაჩნდა NDI-ს კვლევაში ნაცმოძრაობის მხარდამჭერი 36% და რატომ არის ეს მაჩვენებელი „ქართული ოცნებისთვის“ 18 %?! საინტერესოა, საპარლამენტო არჩევნებში ნაცმოძრაობას ორჯერ მეტი ამომრჩეველი რატომ მისცემს ხმას, მაშინ, როცა რეალობა სულ სხვა ციფრებს ასახავს და საქართველოს ყველა კუთხეში ჩატარებულ „ქართული ოცნების“ აქციებზე ათობით ათასი ადამიანი დგას. იმ დროს, როცა „ქართული ოცნების“ მომხრეებს საჯაროდ აქციებზე გამოჩენის არ ეშინიათ, რატომ დაუმალავენ ისინი NDI-ს წარგზავნილებს თავიანთ პოლიტიკურ სიმპათიას? ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ ყველაფრის თავი და თავი ლევან თარხნიშვილია და მისი ორგანიზაციაა, რომელსაც NDI-იმ კვლევა დაუკვეთა.

ეს ის თარხნიშვილია, რომელიც დღესდღეობით პრეზიდენტ სააკაშვილის თანაშემწედ ითვლება და, რაც მთავარია, მის სახელს უკავშირდება არჩევნების გაყალბება.

საინტერესოა, რატომ ეფარებიან ნაცმოძრაობის ერთგული ორგანიზაციები NDI-ის და, ზოგადად, ამერიკული ინსტიტუციების სახელს, თუ პირიქით?

NDI-ს კვლევის სანდოობასთან დაკავშირებით, Forge პოლიტიკოსებს ესაუბრა.

„კონსერვატიული პარტიის“ ლიდერი ზვიად ძიძიგური აცხადებს, რომ ქვეყანაში ისეთი პოლიტიკური ფონია, რომ NDI-ს კვლევები რეალობას არ შეესაბამება. ეს კვლევები შეიძლება გამოადგეთ სადმე ნორვეგიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, მაგრამ არა — საქართველოში, სადაც ყველა ადამიანს, ვინც საბიუჯეტო დაწესებულებაში, სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობს, საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა შეზღუდული აქვს.

**„ყველას, ვინც მუშაობს, ხელისუფლება აიძულებს, რომ ხმა მისცეს ნაციონალურ მოძრაობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაათავისუფლებენ სამსახურიდან. ამდენად, NDI-ს და, ზოგადად, ამ ტიპის კვლევები არავითარ ნდობას არ იმსახურებს. ამიტომ, თითქოს, ნაციონალურ მოძრაობას თურმე ორჯერ მეტი რეიტინგი აქვს და ორჯერ ნაკლები მხარდამჭერი ჰყოლია „ქართულ ოცნებას“, ეს აბსურდის სცენებიდანაა და არა პოლიტიკური რეალობიდან,“** — აცხადებს ზვიად ძიძიგური.

მისივე თქმით, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს ბიძინა ივანიშვილს და საპარლამენტო არჩევნებშიც ამ პოზიციას გამოხატავს.

**„საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემდგომ დარწმუნდებით, რომ კვლევის ეს შედეგები სრულიად ყალბი და არასწორია. დაიმახსოვრეთ ეს კვლევები და შემდეგ შეადარეთ საპარლამენტო არჩევნების შედეგებს. ეს იქნება ცა და დედამიწა“,** — განმარტავს ზვიად ძიძიგური.

ოპოზიციონერი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია For.ge-სთან საუბარში NDI-ს სახელს ამოფარებული ლევან თარხნიშვილის ორგანიზაციის ინტერესზე საუბრობს.

**„მე არაერთგზის ავუხსენი ლუის ნავაროს, რომ ის შეკვეთას აძლევს იმ კომპანიას, რომელიც არის ლევან თარხნიშვილის საკუთრება. იმ თარხნიშვილის, რომელმაც სამარცხვინოდ გააყალბა საპრეზიდენტო არჩევნები. იგი სააკაშვილისა და ბოკერიას თანაგუნდელი, მეგობარი და თანამზრახველია. დღეს მისი თანამდებობა არის პრეზიდენტის თანაშემწეობა. წარმოიდგინეთ, პრეზიდენტის თანაშემწეს აძლევ შეკვეთას, რომ მან ჩაატაროს კვლევები?! შესაბამისად, უკვე მერამდენედ, თარხნიშვილის კომპანია აყალბებს კვლევის შედეგებს, თანაც, რადიკალურად აყალბებს, რის შემდეგაც ხდება თავად ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI-ს ) დისკრედიტაცია. ჩვენ ვთანამშრომლობთ NDI-სთან და მასთან თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი გვაქვს. თუმცა გვაბრკოლებს ის, რომ საზოგადოებაში ამ ინსტიტუტის მიმართ ნდობა ყოველდღიურად ეცემა, რადგან ის სრულიად გაყალბებულ შედეგებს აქვეყნებს“,** — აცხადებს ჯონდი ბაღათურია.

მისი თქმით, პოლიტიკოსები, ისევე, როგორც დანარჩენი საზოგადოება, აღარ ენდობიან ამ კვლევის შედეგებს. თუმცა ჯონდი ბაღათურიასთვის ბევრად დამაჯერებელია ოქსფორდის კვლევის შედეგები, რომლის თანახმადაც, 43 %-იანი ნდობა აქვს „ქართულ ოცნებას“, ხოლო 25 %-მდე აქვს ნაცმოძრაობას.

**„ეს უფრო დამაჯერებელი სურათია, თუმცა ის 25 პროცენტიც ნაცმოძრაობისთვის ბევრია და ამდენი ამომრჩეველი ხმას მაინც არ მისცემს ნაცმოძრაობას. უბრალოდ, რესპონდენტები საჯაროდ ასახელებენ ნაცმოძრაობას, გულში კი „ქართულ ოცნებას“ გულისხმობენ. მათ არ სურთ, გადაიკიდონ ნაცმოძრაობის წევრები, მაგრამ უბანზე რომ მივლენ, ხმას მაინც არ მისცემენ. ოქსფორდის კვლევები მართლაც დამაჯერებელია, დაახლოებით ასეთი უნდა იყოს შედეგები“,** — მიიჩნევს ჯონდი ბაღათურია.

შეგახსენებთ, NDI-ის ამჟამინდელი კვლევის მიხედვით, საპარლამენტო არჩევნები რომ ტარდებოდეს, არჩევნებში მონაწილეობის მსურველი ადამიანების 36% ხმას „ნაციონალურ მოძრაობას“ მისცემდა, 18 % — კოალიცია „ქართულ ოცნებას“, 4% — არც ერთ პარტიას, 3% — „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“, ხოლო 1% — სხვა ოპოზიციას. სხვა ოპოზიცია კი მოიცავს შემდეგი პარტიების ჯამს — „ლეიბორისტული პარტია“, „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო“, „ახალი მემარჯვენეები“, „ქართული დასი“, „თავისუფალი საქართველო“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“, „თეთრები“, „ევროპელი დემოკრატები“ და „საქართველოს დემოკრატიული პარტია“.

**ლალი მარიამიძე**

წკეპლიკა

# განა ბევრი დარჩა გასაყიდი?

**თავის გამოჩენის მცდელობა გასაკიცხი რად უნდა იყოს, თუ გამოსაჩენი გაქვს რამე და ამას უღირსი ხერხებით არ აკეთებ... დავილაპარაკებ, აგერ, ვინმე გიგა ნასარიძეზე და მკითხველმა თავად გამოიტანოს სათანადო დასკვნები.**

ამ გიგამ, თურმე, წამოიწყო ახალი მოძრაობა და შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციაც ჩამოაყალიბა, სახელად „საქართველო არ იყიდებაო“... მოექცა კიდევაც ტელემაყურებლის ფოკუსში, ტელეყურადღების ცენტრში და მოასწრო კიდევაც ეკრანზე თავის გამოჩენა. ერთ-ერთმა პირველმა მასთან, რასაკვირველია, „იმედის“ თვალჟუჟუნა ჟურნალისტმა გოგონამ მიირბინა და მისცა და მისცა „სატოპკე“ შეკითხვები, როგორც იმ ტელეარხის „წესი და რიგია“. აი, მთავარი შეკითხვა კი, რომელსაც, ელემენტარული ლოგიკით, უნდა დალოდებოდა ობიექტური „ყურგანაბული“ მსმენელი, არ დასმულა. არც დაისმებოდა, რამდენადაც, გინდაც ლოგიკასთან მწყრალად არ ყოფილიყვნენ ეგ გიგა და ეგ ტელეგოგონა, ინტერვიუ დაკვეთილი, დადგმული და „ცენზურირებული“ გახლდათ.



მთავარი შეკითხვა კი მე, ელემენტარული ლოგიკის მქონე ტელემაყურებელსა და ტელემსმენელს, იმ გიგა ნასარიძის მისამართით ასე წარმომიდგენია. კი მაგრამ, უკვე გაყიდულ საქართველოში, დიდწილად გაყიდულ საქართველოში, კაი ხნის გაყიდულ საქართველოში რომ აცხადებ „საქართველო არ იყიდებაო“, ეს არის შენი ლოგიკა და შენი სამართალი?

ასეთ მთავარ კითხვას ნახე ახლა როგორი „დახურდავებული“ კითხვები მოჰყვეს: ახლა დაინახე „გაყიდვადი“ საქართველო? აქამდე სად ბრძანდებოდი, ეგ დასავსები თვალები სად ბაკში გქონდა და ვის ბაკში გქონდა? ამდენი სტრატეგიული სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტი რომ მიეყიდა ოკუპანტ რუსეთს, ამდენი ტყე, მიწა, წყალი, სახნავ-სათესი, შენობა, გზა სავალი თუ გზა უვალი რომ გაიყიდა და მიეყიდა თურქებს, ჩინელებს, არაბებსა და разным прочим шведам — მაშინ არ იყიდებოდა საქართველო? სად იყავით მაშინ შენ და შენი მოძრაობა, უძრავ-მოძრავი ქართული ქონება რომ „ვაგონობით“ გადადიოდა „უცხოთა“ ხელში? სად იყავით მაშინ შენ და შენი არასამთავრობო ორგანიზაცია? ახლა, როცა ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, იმის გასაგონად არისხებ განგაშის ზარებს და იმის ბოსტანში ისვრი კენჭებს? იმის გასაგონად, ვინც ყიდის კი არა, ამდენი ააშენა საქართველოში, ამდენი გააკეთა საქართველოსთვის და კიდევ მეტს ააშენებს და გააკეთებს?..

„საქართველო არ იყიდებაო“, როგორც ჭურს რომ ჩაგძახეს და ახლა ამოსძახი — განა ბევრი დარჩა გასაყიდი? განა რაღა დარჩა გასაყიდი? კაი დროსია, ხო იცი!.. ვაი შენს პატრონს და ვუი ჩვენ, უპატრონოს...

**ბერდია ბედოიძე**

ინფორმაცია

## დაისაჯნენ მიკროავტობუსების მძღოლები

**მიკროავტობუსების მძღოლები, რომელთაც კონდიცირების სისტემა გამორთული ჰქონდათ, ათი დღით აღარ იმუშავებენ. შესაბამისი სანქცია მძღოლებს „თბილისის მიკროავტობუსმა“ დააკისრა, რომელმაც ეს გადაწყვეტილება სპეციალური მონიტორინგის შემდეგ მიიღო.**

**გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით თბილისის „თბილისის მიკროავტობუსი“ სპეციალურ განცხადებას ავრცელებს.**

**„თბილისის მიკროავტობუსი“ 1 ივლისიდან, მგზავრთა კომფორტულად გადაადგილების მიზნით, აქტიურად ახორციელებს სამარშრუტო ტაქსებში კონდიცირების სისტემის გამართულ მუშაობაზე მონიტორინგს. ყოველდღიურად მოწმდება ქალაქში არსებული თითოეული სამარშრუტო ტაქსი.**



**მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც მძღოლები, კომპანიის გაფრთხილების მიუხედავად, თვითნებურად არ რთავენ კონდიცირების სისტემას, რაც მგზავრების სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.**

**კომპანიის ხელმძღვანელობა პირადად აკონტროლებდა მანქანებში კონდიცირების სისტემის გამართულად მუშაობას. გარკვეულ ხაზებზე აღმოჩენილი იქნა დარღვევები და მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველა ის მძღოლი (ამ ეტაპზე ასეთი არის 42 მძღოლი), რომელიც არ ემორჩილება შინაგანაწესს და არღვევს კომპანიის მოთხოვნას, 10 დღის განმავლობაში აღარ იმუშავებს ყვითელ მიკროავტობუსზე. ხოლო თუ შემდეგ კვლავ განმეორდება მსგავსი სახის დარღვევა, კომპანიის მიერ გაგრძელდება სხვადასხვა სახის სანქციები, მათ შორის ხელშეკრულების შეწყვეტა და ა.შ..**

**აღნიშნული ინფორმაცია დღეს „თბილისის მიკროავტობუსის“ ხელმძღვანელმა პირადად გააცნო მძღოლებს.**

ინტერპრესი

◎ ვითარება

# „ეს ბაზარი რომ არ ყოფილიყო, ხელისუფლებას უნდა გამოეგონებინა“



ერგნეთის ბაზრობის აღდგენის საკითხი — მხოლოდ განცხადებების დონეზე

**იქ, სადაც 2004 წლამდე ერგნეთის ბაზრობა იყო, ახლა რუსი მესაზღვრეების ბლოკ-საგუშაგო მდებარეობს. ბაზრობის აღდგენის საკითხი დღის წესრიგში პერიოდულად დგება და ამ თემაზე მხარეებს შორის დისკუსიაც იწყება ხოლმე. ბოლოს ბაზრობის აღდგენის შესახებ განცხადება კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა გორში გამართულ მიტინგზე გააკეთა. იგი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, კანონის ფარგლებში, ერგნეთის ბაზრობის აღდგენის პირობას დებს. მისი აზრით, ერგნეთის ბაზრობა იყო ის ადგილი, სადაც ქართველები და ოსები ერთმანეთს უახლოვდებოდნენ. „მიგვაჩნია, რომ ამ ბაზრობის აღდგენით გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს მცხოვრებ ადამიანებს შორის ნდობის აღდგენაც დაიწყება და ურთიერთობებიც დალაგდება“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილის ამ განცხადებამდე ოსური ხელისუფლების წარმომადგენელმა მერაბ ჩიგოევმა განაცხადა, რომ ოსურ მხარეს ერგნეთის ბაზრობის აღდგენის საწინააღმდეგო არაფერი აქვს და, თუ შესაბამის დავალებას მიიღებს და ქართულ მხარესთან შეხების წერტილს იპოვის, ამ საკითხზე მუშაობას გააგრძელებს. ეს განცხადება ქართული დელეგაციის იმდროინდელი ხელმძღვანელის შოთა უტიაშვილისთვისაც კი მოულოდნელი აღმოჩნდა.

მოგვიანებით მერაბ ჩიგოევმა ჩვენს რადიოსთან საუბარში პოზიცია შეცვალა და განაცხადა, რომ ჟურნალისტებმა არასწორად გაუგეს და ქართულმა მხარემ თავის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე რაც უნდა, ის გახსნას. ამ საკითხზე ხმაური ცხინვალშიც დაიწყო და თიბილოვის მთავრობის ოპონენტებმა ჩიგოევი ლამის მოღალატედ გამოაცხადეს, ექსპერტებმა კი ჩათვალეს, რომ ჩიგოევმა ნაჩქარევი განცხადება რუსებთან შეუთანხმებლად გააკეთა და ამის შემდეგ უკან დახევა მოუხდა.

ორიოდე თვის წინათ საქართველოს ხელისუფლების პოზიცია სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის მეთაურმა დიმიტრი სანაკოევმა გაახმაურა. მისი აზრით, ისეთი ბაზრობის გახსნაა შესაძლებელი, სადაც მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტები გაიყიდება. სანაკოევის განცხადებით, ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ საქართველოს სტრატეგიიდან გამომდინარე, ქართული მხარე მზადაა, ნებისმიერ ადგილზე შექმნას სავაჭრო ცენტრი, სადაც შესაძლებელი იქნება გაიყიდოს ის მოსავალი, რომელსაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები მოიწევენ.

**ქართული და ოსური სამოქალაქო საზოგადოების წევრები მხარს უჭერენ ერგნეთის ბაზრობის გახსნის საკითხს. ამის შესახებ მსჯელობა არაერთ შეხვედრაზე ყოფილა. გარდა ამისა, ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევების მიხედვით, ადგილობრივი საზოგადოების დიდი ნაწილი მხარს სავაჭრო ურთიერთობების აღდგენას უჭერს.**

**ერგნეთში იმ ადამიანს შევხვდი, ვინც თავის დროზე ამ ბაზრობის დამფუძნებელი იყო. იურისტმა დიმიტრი დოიჯაშვილმა თავიდან გადაწყვიტა, რომ ერგნეთში გორის საკოლმეურნეო ბაზრის ფილიალი გაეხსნა და ნებართვა 1996 წელს გორის გამგეობიდანაც მიიღო. მისი თქმით, ბაზრობა მაშინ ლეგალური იყო, იკრიფებოდა გადასახადი და საქართველოს ბიუჯეტში დიდი რაოდენობის თანხა შეჰქონდა. მაგრამ 2003 წლიდან, როცა ერგნეთის ბაზრობის არაკანონიერებაზე დაიწყო საუბარი, საქმეში მართლა ჩაერთვნენ კრიმინალური ელემენტები და რუსეთიდან სატვირთო მანქანები ბაზრობის გვერდის ავლით შემოჰყავდათ, სხვა ადგილებში პროდუქცია ქართულ მანქანებზე იტვირთებოდა და იგი საქართველოს ბაზრებზე ხვდებოდა. დოიჯაშვილის აზრით, ბაზრობის ლეგალურ და კანონიერ ჩარჩოებში მოქცევა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ხელისუფლებამ ის მაინც დახურა, ამან კი ქართულ-ოსური ურთიერთობის გაწყვეტა გამოიწვია.**

დიმიტრი დოიჯაშვილი რადიო თავისუფლებასთან საუბარში ამბობს, რომ 2006 წელს ბაზრობის აღდგენის იდეა დიმიტრი სანაკოევის ადმინისტრაციასაც ჰქონდა, მას პროექტის დაწერაც კი სთხოვეს, მაგრამ იდეა იდეად დარჩა, მოგვიანებით კი უკვე ომიც დაიწყო:

ერგნეთის მცხოვრები ლია ჩლაჩიძე მიიჩნევს, რომ ერგნეთის ბაზარი სახალხო დიპლომატიის ნიმუში იყო და ამ ადგილას იწყებოდა მხარეებს შორის ნდობის აღდგენა. მისი აზრით, ახლა არა მარტო საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური ნება, არამედ რუსეთის მთავრობის ნებაც საჭიროა, მაგრამ, მისი აზრით, ეს მარტივად და სწრაფად ვერ განხორციელდება.

**„მთელი საქართველო აქ იყო. ერთმანეთს ენდობოდნენ, ნისიად აძლევდნენ საქონელს, ფულს ასესხებდნენ ერთმანეთს ქართველები და ოსები. ეს უპრეცედენტო მოვლენა იყო იმ დაძაბული სიტუაციების შემდეგ, რომლებიც 1989 წლიდან იყო ქართულ-ოსურ კონფლიქტში. რომ არ ყოფილიყო ერგნეთის ბაზარი, ხელისუფლებას ის უნდა გამოეგონებინა, თუ მას რეალურად უნდოდა ოსეთის დაბრუნება თავის წიაღში. ხალხი თუ არ შერიგდა, პოლიტიკოსები ვერაფერს მოახერხებენ. ხალხისგან უნდა წამოვიდეს ეს ინიციატივა.“**

**ტერიტორია, სადაც ერგნეთის ბაზრობა მდებარეობდა, ახლა ოკუპირებულია და იქ რუსი მესაზღვრეები დგანან. გზის გახსნასა და სავაჭრო ურთიერთობების საკითხებზე მსჯელობა მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების დონეზე მიმდინარეობს, პოლიტიკოსები ამ საკითხზე მხოლოდ განცხადებებს აკეთებენ, თუმცა როგორ და რა ფორმით შეიძლება ოკუპირებულ ტერიტორიაზე სავაჭრო ობიექტის გახსნა, ამას არავინ აკონკრეტებს.**

გოგა აფციაური,
რადიო „თავისუფლება“

◎ ფასიანი ქაღალდების ბაზარი

# „სოციალური“ ობლიგაციები

**მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები ოპოზიციასაც და სახელისუფლებო პარტიასაც მოქმედების გარკვეული სტრატეგიისა და ტაქტიკის გატარების აუცილებლობის წინაშე აყენებს. ნებისმიერი გეგმის განხორციელებას, ცხადია, ადამიანურ, პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ თუ სხვა სახეობის რესურსთან ერთად აუცილებლად ფინანსური რესურსიც სჭირდება. თუ ქმედით ოპოზიციას ამ მხრივ პრობლემები არა აქვს, თუ არ ჩავთვლით ხელისუფლების მიერ მის ფინანსურ შესაძლებლობათა მაქსიმალურად შეზღუდვის დაუღალავ მცდელობას, თავად ხელისუფლებასაც — პოლიტიკურ ოპონენტებთან საბრძოლველად — თუნდაც დანაპირების ნაწილობრივ შესასრულებლად, ფული აუცილებლად სჭირდება, რომელიც, მოგეხსენებათ, ციდან თავისით არ ცვივა. ამიტომ მის „საშოვნელად“ ან ფულის დაზგის ჩართვაა საჭირო, რის სრული დატვირთვით გაკეთებას ჯერჯერობით მაინც ერიდებიან, ანდა რაღაც სხვა წყაროს გამონახვა სჭირდება. წლეულს, ექვსწლიანი პაუზის შემდეგ, ეროვნულმა ბანკმა ბიუჯეტში ფულის აკუმულირების მიზნით სახელმწიფო ობლიგაციების გაყიდვა დაიწყო. მათთან ერთად იყიდება სხვა ფასიანი ქაღალდებიც — სახაზინო ობლიგაციები და ვალდებულებები.**

წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო ბიუჯეტში, ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე, ასევე მათი მეშვეობით რეზიდენტ და არარეზიდენტ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე გაყიდული ყველა სახეობის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვით, 322 მილიონი ლარი შევიდა. მათ შორის, გაიყიდა 72 მილიონი ლარის სახელმწიფო ობლიგაციები, 190 მილიონი ლარის სახაზინო ობლიგაციები და 60 მილიონი ლარის სახაზინო ვალდებულებები.

სახელმწიფო ობლიგაციების გაყიდვის ოფიციალურ მიზეზად ფინანსთა სამინისტროში ეროვნული ბანკის მიმართ ძველი ვალის გასტუმრების აუცილებლობა დაასახელეს, მაგრამ ექსპერტები საფუძვლიან ეჭვს გამოთქვამენ იმის თაობაზე, რომ აქედან მიღებული ფული მთავრობის ბოლო დროს გაპიარებული სოციალური პროგრამების დაფინანსებას მოხმარდება. არადა, ეს ამოდენა ფული, რომელსაც შიდა სახელმწიფო ვალის ფორმა აქვს, მომდევნო წლებში ისევ და ისევ სახელმწიფო ბიუჯეტიდან იქნება გასასტუმრებელი. 90-იან წლებში მთავრობა, რომელსაც ფულის მუდმივი დეფიციტი ჰქონდა, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის დასაფინანსებლად ეროვნული ბანკიდან ფულს სესხულობდა, თუმცა ამ პრაქტიკას ბოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნამ მოუღო. ამ დროიდან მოყოლებული ფინანსთა სამინისტროს ეროვნული ბანკის დაახლოებით 830 მილიონი ლარის დავალიანება დარჩა. ვალის გასასტუმრებლად, 2006 წელს, საქართველოს მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შორის დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა შესახებ გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ვალის ნაწილი 16-დან 60 თვემდე ვადიანობის ობლიგაციებად გაფორმდა, ხოლო მთელი თანხა 2030 წელს იქნება გასტუმრებული.

ამჟამად ფინანსთა სამინისტრო ეროვნული ბანკისთვის 100 მილიონ ლარზე მეტი თანხის დაბრუნებას გეგმავს. ამ მიზნის მისაღწევად, როგორც აღვნიშნეთ, ივნისის თვეში ეროვნულმა ბანკმა 72 მილიონი ლარის ოდენობის ერთნახევარ-ოთხწლინახევარი ვადიანობის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები გაყიდა, რომელთა საშუალო განაკვეთი 6-დან 8,75 პროცენტის ფარგლებში მერყეობს.

ვალის დაბრუნების გარდა სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვების მიზანი, როგორც ამას თავად ფინანსთა სამინისტროშიც აცხადებენ, **ჭარბი ფულის მასის მიმოქცევიდან ამოღება და საფინანსო ბაზრის გამოცოცხლებაა.** ამას მთელი რიგი ექსპერტიც იზიარებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ფულის ნაწილი, რომელსაც თავად ობლიგაციების გამოშვების ხარჯი გამოაკლდება, შემდეგ ისევ სახელმწიფო ბიუჯეტს დაუბრუნდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ კანონთან“ სრულ შესაბამისობაში. ბიუჯეტში შესულ თანხებს კი მთავრობა, როგორც აღვნიშნეთ, გარკვეული სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად გამოიყენებს, ეკონომიკისა და საფინანსო სექტორები, არსებითად, იგივე მდგომარეობაში დარჩებიან, მთლიანი შიდა პროდუქტის გაპიარებული შვიდპროცენტიანი ზრდა კი კვლავაც ქაღალდზე დარჩება.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ინფორმაცია თემაში

სახელმწიფო ობლიგაციებს ეროვნული ვალუტის ნომინალებით უშვებენ და ისინი შესაბამის აუქციონებზე კომბანკებზე მრავალფასიანობის პრინციპით იყიდება; სახაზინო ობლიგაციები ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული საშუალოვადიანი კუპონური 1000 ლარის ნომინალის მქონე სახელმწიფო ქაღალდებია, რომლებსაც ერთიდან ათ წლამდე დაფარვის ვადა აქვთ; სახაზინო ვალდებულებები კი ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული მოკლევადიანი დისკონტური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებია, რომლებსაც ერთ წლამდე დაფარვის ვადა აქვთ და ნომინალური ღირებულებით იყიდება.

◎ ინფორმაცია



## გიორგი ფოჩხუას მკვლელობაში ეჭვმიტანილი პოლიციელია

**შინაგან საქმეთა სამინისტრო მსახიობ გიორგი ფოჩხუას მკვლელობის საქმეზე დაკავებულებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.**

**შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, დააკავეს გიორგი ფოჩხუას განზრახ მკვლელობაში ბრალდებული, 1992 წ. დაბადებული ბექა ცობეხია, რომელსაც ბრალი ედება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით.**

**დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, რომლის მოტივადაც სახელდება ურთიერთშელაპარაკება. ასევე დაკავებულია ბრალდებულის მეგობარი, დაცვის პოლიციის თანამშრომელი, 1990 წ. დაბადებული ნიკოლოზ ბაძაღუა, რომელიც ბრალდებულია საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება).**

**პოლიციის მიერ ამოღებულია გარდაცვლილის ფოტოაპარატი და მობილური ტელეფონი.**

ინტერპრესი

# ბრძოლა კავკასიისთვის: ომის „მივიწყებული“ ფურცლები

ზუსტად 70 წლის წინათ მოხდა თავისი სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობით გრანდიოზული ბრძოლა კავკასიისთვის, რომელიც 482 დღე გრძელდებოდა. იგი ორი – თავდაცვითი (25.07-31.12.42წ) და შეტევითი (01.01-09.10.43წ – ოპერაციისგან შედგებოდა. კავკასიისთვის ბრძოლის ამ პერიოდზე დაიწერა ბევრი რამ – მემუარებიც, მოგონებებიც, რომანებიც, ცნობილი მიზეზების გამო, შეგნებულად იყო გამოტოვებული ლავრენტი ბერიას, აგრეთვე მისი ერთგული თანამებრძოლების როლი, რომლებმაც მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ფაშისტური ურდოების განადგურებაში კავკასიის მთისწინეთში და საქართველოში, და არა მხოლოდ მაშინ, დიდი ტერორებისა და დივერსიების თავიდან აცილებაში.

არც ისე დიდი ხნის წინათ გამოიცა ცალკეული წიგნები, გამოქვეყნდა პუბლიკაციები, საარქივო მასალები, რომლებიც საშუალებას იძლევიან ახლებურად შევხედოთ იმ მრისხანე წლების მოვლენებს. ჩემს არქივშიც დაგროვდა ბევრი საინტერესო რამ ამ თემაზე...

1942 წლის გაზაფხული და ზაფხული სსრ კავშირისთვის განსაკუთრებით ტრაგიკული აღმოჩნდა. ფაშისტურმა ჯარებმა, თავადაც დიდ დანაკარგებს რომ განიცდიდნენ, შეძლეს სისხლისაგან დაეცალათ სსრკ-ის დიდი სამხედრო გაერთიანებანი, ტყვედ აეყვანათ ასეული ათასობით მებრძოლი. ორჯერ მიუხედავად, დაითმოთ გერმანელებისთვის ხარკოვი, ყირიმი. საქართველოსთვის განსაკუთრებით ტრაგიკული იყო ყირიმის კატასტროფა; ყირიმის ფრონტის სარდლობის უხეში შეცდომების შედეგად ამ საშინელ შეტაკებაში დაიღუპა და დაიშალა ათეულობით ათასი ქართველი მეომარი, ძირითადად ახალგაზრდები! და აი, ახალი, განიცდით დიდი მოცულობის კატასტროფა უახლოვდებოდა საქართველოს.

გეგმა „ბლაუ II“ – კავკასიის ხელში ჩაგდება, დაპყრობა – ჰიტლერმა დაამტკიცა ჯერ კიდევ 1942 წლის ივნისში. ჰიტლერული სარდლობის 1942 წლის 23 ივლისის № 45 დირექტივით კი დაიწყო კავკასიის დაპყრობის ოპერაცია პირობითი სახელწოდებით „ედელვაისი“.

კავკასიისკენ დაიძრა უზარმაზარი ფაშისტური არმადა – არმია „ა“-ს ჯგუფი გენერალ-ფელდმარშალ ვ.ლისტის მეთაურობით. ეს კი იყო 13 დივიზია, 4 მოტორიზებული, 5 სატანკო (სულ 1130 ტანკი) და 3 ცხენოსანთა დივიზია, 100-მდე თვითმფრინავი. ჰიტლერელებს უპირატესობა იყო ადამიანებში და შეიარაღებაშიც. გერმანელები აპირებდნენ ყველა შემხვედრ დაბრკოლებას, გაუვლიდნენ ჩრდილოეთი კავკასიის სივრცეებს, შეეღწიათ და ხელში ჩაეგდოთ სანჩაროს, კლუხორის, მარუხისა და ზოგიერთი სხვა უღელტეხილი. მტერი თითქმის 20 კილომეტრზე იყო გუდაუთიდან. თბილისში, და სხვა ადგილებშიც, მოსახლეობას შორის დაიწყო პანიკა. ამიერკავკასიის რესპუბლიკები ფრონტისპირა ზონებად იქცნენ.

საქართველოს თავზე ჩამოწვა ფაშისტების შემოჭრის საფრთხე. მდგომარეობა რთულდებოდა იმითაც, რომ გერმანია კავკასიაში ერთი-მეორის მიყოლებით აგზავნიდა სადაზვერვო-დივერსიულ ჯგუფებს. ცნობა სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის არქივიდან: „მხოლოდ 1942 წელს აგენტურის, დივერსანტებისა და ტერორისტების სავარაუდო გადმოსხმების ზონა სულ 7 ათასზე მეტი და დაახლოებით 2,5 ათასი დივერსანტი და რადისტი. მათი დიდი ნაწილი გაიგზავნა კავკასიაში. განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს ეთმობოდა. ფაშისტებმა შექმნეს დივერსიული ორგანიზაციები „თამარ I“, „თამარ II“. არმია ცენტრ „ა“-ში მოქმედებდა ერთგული პატრიოტი ემიგრანტების, ტყვეების, მტრის მხარეზე გადასულებისა და ა.შ. შემადგენლობით. ქართულ ბატალიონს მეთაურობდა ტერორისტი ქართველი გენერალ-გუბერნატორი, 46 წლის შალვა მაღლაკელიძე, ვერმახტის მრჩეველი (ერთადერთი ქართველი, რომელიც მესამე რაიხის გენერალი გახდა) და რომელიც ვერ იტანდა ბოლშევიზმს.

...პირველ ქართველ მესაზღვრე გენერალს ნესტორ ლაბაძეს, რომელმაც 1938 წელს მიიღო ახალი შემდგარი ქართული სასაზღვრო ოლქი, თავისი შეფის – სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ლავრენტი ბერიას ბრძანებით მოუწია ერთდროულად სათავეში ჩადგომოდა გამანადგურებელ ბატალიონებს, რომელთა ფუნქციაშიც, მეტად მშფოთვარე სახელმწიფო საზღვრის დაცვის გარდა, შედიოდა იმ ფაშისტური აგენტებისა და დივერსანტების გაუვნებელყოფა, რომლებიც აწყობდნენ დივერსიებს განსაკუთრებულ მნიშვნელოვან ობიექტებზე, ქმნიდნენ პანიკას ადგილობრივ მოსახლეობაში. მარტო 1942 წლის მაისიდან აგვისტოს ჩათვლით სოხუმის მესაზღვრეთა რაზმის მესაზღვრეებმა ფაშისტების პარაშუტისტების სამი დიდი ჯგუფი გაანადგურეს. ახალციხის რაიონში ადგილობრივმა მესაზღვრეთა რაზმმა მოსპო გერმანელთა ჯგუფი, რომელიც რამდენიმე ასეული მზვერავისგან შედგებოდა. ასეთი მაგალითები ათობით იყო. დღეს სახელგანთქმულ მესაზღვრე-ჩეკისტს, გენერალ-ლეიტენანტ ნესტორ ლაბაძეს იშვიათად თუ ვინმე გაიხსენებს, ისევე როგორც არ იხსენებენ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს გენერალ ილარიონ (კიჩო) გაგუას, ვისაც არც ძილი ჰქონდა და არც მოსვენება და ვინც თითქმის ყოველდღე იჭერდა აფხაზეთში ფაშისტების მიერ შემოგზავნილ ჯაშუშებსა და დივერსანტებს.

იშვიათად რომ დღეს ვინმეს ახსოვდეს გენერალ ვარლამ კაკუჩაიას სახელი – კავკასიისთვის ბრძოლის ერთ-ერთი გმირის, არაორდინარული ბედის კაცი, ვინც მიუხედავად თავისი ცხოვრებისეული უსიამოვნებების მთელი კასკადისა, სიცოცხლის ბოლომდე დარჩა კაცურ კაცად, შესანიშნავ მეომრად. 1941 წლის დასაწყისში ის დაინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად, ომის პირველსავე დღეს კი გადაიყვანეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებულ ჯგუფში პავლე სუდოპლატოვთან სამიდან ერთ-ერთ მოადგილედ. ამბებს წინ გავუსწრებ და აღვნიშნავ, რომ ეს არის უიშვიათესი შემთხვევა, როდესაც ორივე მათგანი ლ.ბერიას გარემოცვიდან, დატოვებენ ამ წუთისოფელს უკვე ხანდაზმულ ასაკში, 1953-56 წლების უმაღლესი ბერიელი ჩეკისტების ეშელონის მკვლელობათა და თვითმკვლელობათა კასკადის ფონზე. თუმცა ორივე მათგანი 15-15 წელი იმყოფებოდა ციხის ცალკე საკნებში...

გენერალ ვარლამ კაკუჩაიას მოგონებებიდან: „1942 წლის 17 აგვისტოს ლ.ბერიას ბრძანებით სასწრაფოდ გამომიწვიეს დასავლეთის ფრონტის ხაზიდან. მოსკოვში უმალვე მიმიღო სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა, რომელმაც ყურადღებით შემათვალიერა, რამდენად აკურატულად მქონდა მორგებული ტანსაცმელი და მითხრა: „წავედით კრემლში, უფროსთან“. რამდენიმე წუთის შემდეგ (ეს დაახლოებით ღამის 12 საათი იყო) ჩვენ მიგვიღო სტალინმა. როდესაც მკითხა, თუ სად ვიყავი დღეს და რა ვნახე, სტალინმა თქვა: მდგომარეობა კავკასიაში მეტად სერიოზულია, თითქმის კატასტროფული. ზოგიერთი ნაწილის სამეთაურო შემადგენლობის დანაშაულებრივი დაუდევრობის შედეგად გერმანელებმა შეძლეს გაჭრილიყვნენ კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილებისკენ და დაეკავებინათ მათგან ყველაზე ძირითადი. ჰიტლერმა მოსდო მთელს მსოფლიოს თითქოსდა დღემდე ომების ისტორიაში ისეთი არნახული გმირობის შესახებ, რომელიც მისმა არმიამ შეძლო და რომელმაც მთელი კავკასიის ქედი დაიკავა. ამგვარი ტრაბახისა და შორს მიმავალი პროპაგანდის საბაბი გახდა იმ ნაწილების მეთაურთა შემადგენლობის დაუდევრობა,რომლებიც ქედის მისადგომებს იცავდნენ. სინამდვილეში მდგომარეობა იქ ძალიან სერიოზულია და იმაზე, შევინარჩუნებთ ჩვენ მას თუ არა, დღეს დამოკიდებულია ომის ბედი! გერმანიასა და თურქეთს შორის საიდუმლო ხელშეკრულების თანახმად, ფაშისტური არმიის საქართველოს დაბლობებში შემოჭრისთანავე თურქეთი მილიონიანი არმიით გამოვა ჩვენს წინააღმდეგ, დაემუქრება ოკუპაციით ბაქოს, რომლის დაცემაც დამარცხების ტოლფასია. ამ სიტუაციაში შეგიძლიათ აღადგინოთ მდგომარეობა იმ უღელტეხილებზე, კერძოდ სვანეთში, რომლებიც გერმანელებმა დაიკავეს?“ მე ვუპასუხე, რომ მზად ვარ თავი გავწირო სამშობლოსთვის, დავიცვა მისი თავისუფლება. „თავი უნდა გაწირონ გერმანელებმა და არა თქვენ“, – შემაწყვეტინა სტალინმა. „დილით 5 საათზე ჩემი თვითმფრინავით და ჩემი მფრინავით მიფრინავთ თბილისში. თქვენი ხელმძღვანელი იქნება ბერია. გისურვებთ წარმატებას, – დაამთავრა სტალინმა და ხელი ჩამომართვა“.

პავლე სუდოპლატოვის მოგონებებიდან: „1942 წლის 16 აგვისტოს ბერიამ მიბრძანა გამოვძებნო და მოვახდინო 150 ალპინისტის ეკიპირება, და როგორც კი ბრძანება შესრულებული იქნა, მე, უმალვე, მასთან, მერკულოვთან და სხვებთან ერთად გავფრინდი კავკასიაში“.

თვითმფრინავის სალონში, როგორც გენერალი კაკუჩაია იგონებს, 18 კაცი იყო, უმრავლესობა – ქართველი ჩეკისტები – გრიგოლ კარანაძე, ლავრენტი ცანავა (ყირიმის ასს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა პირველი სახალხო კომისარი, მეორე – ბელარუსისაძ, ნიკოლოზ რუხაძე, სტეფანე მამულოვი, ბოგდან ქობულოვი,ვსევოლოდ მერკულოვი, სოლომონ მილშტეინი, პოლკოვნიკი მიხეილ მიქელაძე, ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის ახალი უფროსი პაველ ბოდინი (ის ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრთან ალექსი საჯაიასთან ერთად 1942 წლის 2 ნოემბერს ძალზე ორჯონიკიძის რაიონში დაიღუპა), სერგეი შტემენკო – სსრ კავშირის სამხედრო საბჭოს გენერალური შტაბის კავკასიის მიმართულების კურატორი და მასთან მივლინებული 18 წლის ლეიტენანტი სერგო ბერია, რომელმაც შესანიშნავად იცოდა გერმანული, ინგლისური და სხვა ენები, კარგად ფლობდა შიფრო და რადიოტექნიკას.

თბილისში ჩამოაღწიეს შუა აზიის, კრასნოვოდსკისა და ბაქოს გავლით. გვიან ღამით დაეშვა თბილისში თვითმფრინავი, სადაც ბერიასა და მის გუნდს ხვდებოდნენ ამიერკავკასიის ფრონტის სარდალი ი.ტიულენევი, ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრები – ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები კანდიდ ჩარკვიანი, მირ-ჯაფარ ბაგიროვი, გრიგოლ არუთინოვი და სხვები, რომლებიც მეტად დათრგუნული გამოიყურებოდნენ, რაზეც ბერიამ უმალვე მიაქცია ყურადღება და მკაცრადაც შეუტია მათ, დაახლოებით ასეთი გამონათქვამებით. „რას გავს ეს? მოგიშვიათ წვერები, თქვენი შემხედვარე ხალხი პანიკაში ჩავარდება. ჩვენამდე მოაღწია ხმებმა, რომ ქალაქი ჩახერგილია, არ არის წყალი, ტრამვაი არ დადის. რა, ტრამვაიც ფრონტზე წავიდა? თქვენ პორაჟენულ განწყობილებას უწყობთ ხელს...“ განსაკუთრებით არ დაინდო ტიულენევი: „ეს როგორ დაუშვით თქვენ, ტიულენევო, რომ გერმანელებმა დაიპყრეს მიუვალი უღელტეხილები? სად იყო ჯარები, რას აკეთებდით და სად იყურებოდით?“



**ექლვნება კავკასიის ყველა დამცველს, ცოცხლებსაც და დაღუპულებსაც**

ბერია შესანიშნავად იცნობდა ამ ხალხს, მათს ძლიერ და სუსტ მხარეებს. სხვაგვარად მოქცევა მას არ შეეძლო. მეტად დიდი და პასუხსაგები მისია დააკისრა მას სტალინმა. ბერია კავკასიაში ჩამოვიდა განსაკუთრებული, ფაქტობრივად განუსაზღვრელი უფლებამოსილებებით და არა მხოლოდ როგორც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი. ყველას უბრძანეს წასულიყვნენ ამიერკავკასიის ფრონტის შტაბში. უკვე ღამის 12 საათი იყო, როდესაც შტაბში ბერიას გამოძახებით დაიწყეს მოსვლა ცალკეული ნაწილების მეთაურებმა, სხვადასხვა უწყებათა ხელმძღვანელებმა. ბერია, მიუხედავად იმისა, რომ უკიდურესად გადაღლილი იყო, მუშაობდა და მოქმედებდა, როგორც ყოველთვის, საქმის ცოდნით, კონკრეტულად, მკაცრად და ოპერატიულად. ის უმალვე ერკვეოდა სიტუაციაში და ასევე უმალვე გონივრულად წარმართავდა მას.

სვანეთში უზარმაზარი სამუშაო შეასრულა გენერალმა კაკუჩაიამ, რომელმაც ადგილობრივ მცხოვრებთა უამრავი ჯგუფი შეაგროვა, ვინაც კარგად იცოდა ყველა გასასვლელი, ყველა ბილიკი მთებში. სწორედ სვანების წყალობით, რომელთაგანაც იქმნებოდა ასეულები, გაანადგურეს ფაშისტური ჯარების დიდი ნაწილები, განსაკუთრებით ბეჩოს უღელტეხილებზე, აგრეთვე ბაქსანის ხეობაში. ამ თვალსაზრისით სვანები და მთელი სვანეთი უფრო დაწვრილებით საუბარს იმსახურებენ.

ერთი საინტერესო ფაქტი. გენერალმა კაკუჩაიამ, რომლის ოჯახიც შტაბის პირდაპირ, რაღაც 100 ნაბიჯზე ცხოვრობდა, სთხოვა ბერიას გაეთავისუფლებინა 5-10 წუთით, რომ მოენახულებინა თავისიანები, ვინც არ ენახა აი, უკვე ორი წელიწადია. ბერიამ მას უპასუხა: „ახლა ოჯახისთვის არ გვცალია, მათთვის დარეკვასაც კი გიკრძალავთ. დადგება დრო და მოინახულებთ მათ“. ასეთივე მომთხოვნი იყო ბერია თავისი თავისადმიც. არადა მას ხომ მაშინ თბილისში ჰყავდა ხანდაზმული დედა და ყრუმუნჯი და, მაგრამ არ უნახავს მას ისინი ფრონტზე ვითარების გაუმჯობესებამდე. როგორც მისი შვილი სერგო ბერია იხსენებდა, მამამ უბრძანა მას, არსად წასულიყო, არსად დაერეკა და ყოფილიყო მის მოსაცდელში. საქმე ყველასთვის თავზე საყრელი იყო.

ყველა, დიდიც და პატარაც, უფროსიც, თითქმის ლოდინდენ ადამიანს, რომელსაც შეეძლებოდა გადარჩინა არასახარბიელო მდგომარეობა კავკასიაში, და ყველამ მაშინვე იგრძნო, რომ ასეთი კაცი გამოჩნდა კიდეც ბერიას სახით. მას შეეძლო, შეერჩია საჭირო კადრები, თავიდან მოეშორებინა იმ მომენტისთვის არასაჭირო პიროვნებები. მას ენდობოდნენ და ამ ნდობამ მასთან ურთიერთობაში მყოფი უამრავი ადამიანის მეშვეობით სულ რაღაც რამდენიმე დღეში ფეხზე დააყენა მთელი თბილისი, საქართველო, კავკასია მთლიანად.

დაახლოებით ღამის სამ საათზე ბერიამ დაიწყო იმათი გამოძახება, ვინც მასთან ერთად ჩამოვიდა თვითმფრინავით. ისინიც არ კარგავდნენ დროს უქმად. ბერიას ყოველთვის კარგი გუნდი ჰყავდა. მაგალითად, ერთ-ერთი ჩვენგანი, იგონებდა კაკუჩაია, როდესაც მიიღო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შინაგანი ჯარების გაძლიერებული პოლკი, უმავლვე დილის 5 საათზე სპეციალური ეშელონით გაიგზავნა სოხუმის გავლით ქლუხორის უღელტეხილისკენ. პაველ სუდოპლატოვმა თან ჩამოიტანა ჩემოდანი ძვირფასეულობებით – ბრილიანტებით, ოქროთი, ვალუტით. საქართველოში გერმანელების შემოჭრის შემთხვევისთვის აქ იქმნებოდა იატაკქვეშეთი.

სატრანსპორტო თვითმფრინავებით ბერიასთან ერთად ჩამოსულმა გამოცდილი პარტიზანული მეთაურებისა და მედესანტეების მთელმა ჯგუფმა ალპინისტებთან ერთად არ მისცა საშუალება გერმანელებს შეჭრილიყვნენ ყაბარდო-ბალყარეთში და მიაყენა მათ დიდი ზარალი. იმავე პერიოდში ალპინისტებმა ააფეთქეს ნავთობის ცისტერნები და გაანადგურეს მთებში გერმანელთა ქვეითი ჯარების მოტორიზებული ნაწილები, აგრეთვე ჭაბურღილები მოზდოკში.

კავკასიაში ბერიას ჩამოსვლის შემდეგ მუშაობა დიდი შემართებით მიმდინარეობდა ყველა მიმართულებით. უკვე 1942 წლის 27 აგვისტოს 23 საათზე და 20 წუთზე სტალინმა და ვასილევსკიმ ბერიას მოხსენების შემდეგ ხელი მოაწერეს უმაღლესი მთავარსარდლობის დირექტივას 46-ე არმიის სარდლის გენერალ-მაიორ სერგაცკოვისა და ზურგში მისი მოადგილის, ბრიგადის მეთაურ კისლიცინის გათავისუფლების შესახებ, „რომლებმაც ვერ გაართვეს თავი მუშაობას და ვერ უზრუნველყვეს ჯარების მოქმედებანი“. იმავე დირექტივით ახალ სარდლად ინიშნებოდა გენერალ-მაიორი კონსტანტინე ლესელიძე, მის მოადგილედ – ბერიას კიდევ ერთი კადრი – მესაზღვრეთა პოლკოვნიკი პიაშევი. ბერიას „ნათლული“ გახდა ლესელიძის თანატოლი გენერალი ანდრეი გრეჩკო, რომელიც 1942 წლის 8 სექტემბერს დაინიშნა 47-ე არმიის სარდლად. სხვათა შორის, შემდეგ, ლესელიძე შეცვლის გრეჩკოს 47-ე და მე-18 არმიებშიც. იგი სამუდამოდ უკვდავყოფს თავის სახელს „ცისფერი ხაზის“ ფორსირებითა და ნოვოროსიისკის გათავისუფლებით.

...ჩემი მეზობელი და უფროსი მეგობარი, იმ დღეებში მე-16 არმიაში შემავალი 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის მეთაური, მომავალი გენერალი გიორგი ყურაშვილი მიამბობდა: „სიტუაცია მართლაც უმძიმესი იყო. ყველაფერი სწრაფად შეიცვალა ლავრენტი ბერიას ჩამოსვლით. მან მოკლე დროში მოასწრო გაეკეთებინა იმდენი რამ, რასაც ვერ ახერხებდა პარტიის ათობით და ასობით მდივანი, საბჭოთა მუშაკი, სამხედრო ნაწილების მეთაურები, საწარმოების ხელმძღვანელები. მე თავად ვიყავი მოწმე, – განაგრძო ბატონმა გ.ყურაშვილმა, თუ როგორ ესაუბრებოდა ბერია ჩვენი დივიზიის თითქმის ყველა მეომარს, პირადად იყო თავდაცვის ყველა სახიფათო უბანში, იძლეოდა ძვირფას რჩევებს. მან თან მოიყვანა სნაიპერების ჯგუფი, რომლებსაც მისი ბრძანებით ამზადებდნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სასაზღვრო ჯარებში ჯერ კიდევ 1938 წლის ბოლოდან. როგორ გამოგვადგნენ ისინი ჩვენ! ერთ გამოცდილ სნაიპერს ხომ შეეძლო „ჩაეკეტა“ კავკასიის უღელტეხილებზე მტრის მთელი ასეული...“

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კავკასიის დამცველთა მომარაგებაც. ბერიას ინიციატივით მობილიზებული იქნა ათობით ათასი სახედარი, კამეჩი, რომლებსაც ვიწრო ბილიკებით შეეძლოთ გადაეტანათ შეიარაღება, მოწყობილობა, სურსათი, უკან კი დაბრუნებულიყვნენ დაჭრილი ჯარისკაცებით.

როგორც გენერალი ყურაშვილი იგონებს: ... იმ დღეებში თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მშრომელთა გრანდიოზული მიტინგი, რომელზეც გამოთქვამდნენ მზადყოფნას, გაეკეთებინათ ყველაფერი შესაძლებელი და შეუძლებელი მტერზე საერთო გამარჯვებისთვის. 1942 წლის 9 სექტემბერს ამიერკავკასიაში გამოცხადდა საბრძოლო მდგომარეობა. იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყნის ცენტრის ბევრი კომუნიკაცია ხელში ჰქონდათ ჩაგდებული გერმანელებს, კავკასიაში ჯერ კიდევ ბერიას ჩამოსვლამდე ბევრი საწარმო მთლიანად იქნა გადაყვანილი საბრძოლო მასალების, შეიარაღების წარმოებაზე. ცენტრიდან ახლა ჩამოჰყავდათ მხოლოდ თვითმფრინავები, ტანკები, იარაღი. სხვა ყველაფერს – ნაღმსატყორცნებს, ავტომატებს, ყუმბარებს, ტყვიაწამალს და ა.შ. ადგილზე აწარმოებდნენ. თბილისის ხორცის დამზადების პუნქტშიც კი (ეგრეთ წოდებულ პირუტყვის სასაკლაოზე) დაიწყო ტყვია-წამლის დამზადება. ყველგან აგებდნენ ეშელონირებულ თავდაცვას, სადაც ყოველდღე ათობით ათასი თბილისელი მუშაობდა. კავკასიის დამცველთა, ამიერკავკასიის მშრომელთა უდიდესი დაძაბულობის, გმირობისა და მამაცობის წყალობით ჰიტლერელები შეაჩერეს კავკასიონის მთისწინეთში. თავდაცვა გრძელდებოდა 1942 წლის ბოლომდე.

... ასე დამთავრდა კავკასიისთვის ბრძოლის თავდაცვითი ოპერაცია. წინ იყო კიდევ გმირობისა და მამაცობის 284 დღე მთელი კავკასიის სრულ გათავისუფლებამდე. ეს 1943 წლის 9 ოქტომბერს მოხდა...

**ლევან ლოლიძე,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოში არჩევნებს წესებით გაითამაშებენ

## სააკაშვილის პარტიამ მიითვისა არასამთავრობო ორგანიზაციების საარჩევნო ინიციატივა

საქართველოს მმართველმა პარტიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომლის ლიდერადაც რჩება მიხეილ სააკაშვილი, ოპოზიციას შესთავაზა მიიღოს ყოფაქცევის წესები პარლამენტის არჩევნების დროს, რომელიც ოქტომბრისთვისაა დანიშნული. ამ წესების არსი არის ის, რომ არ გამოიყენონ ძალა, ადმინისტრაციული რესურსი და ამომრჩეველთა მოსყიდვა. შესაბამისი დეკლარაცია გამოქვეყნდა კვირას. მაგრამ 16 ივლისს ოპოზიციურმა კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ“ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ წინადადებანი არჩევნების წინ დაამუშავა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ. მმართველი პარტია აჩქარდა, როდესაც იგი თავისად გაასაღა.

„რისთვის გააკეთა ეს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაურკვეველია“, — განაცხადა საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელმა დავით ზურაბიშვილმა, პარტიისა, რომელიც კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შედის. მისი სიტყვებით, ინიციატივა ქცევის წესების დამუშავების შესახებ პარლამენტის არჩევნების მზადების და გამართვის პერიოდში ეკუთვნის მთელ რიგ არასამთავრობო ორგანიზაციას — „ავტორიტეტულ და ნდობის მქონე ორგანიზაციებს“. „ამ არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოამზადეს წინადადებები, მთლიანად სწორი და სასარგებლო წინადადებები და მოგვმართეს იმით ჩვენ, აგრეთვე მმართველ პარტიასაც. თუ მათში შევიტანთ შესაბამის კორექტივებს, წესები შეიძლება მიიღოს ოპოზიციამაც. ჩვენ განზრახული გვაქვს მოვამზადოთ ჩვენი წინადადებები არსებული პროექტის სრულყოფისთვის და გადავცეთ იგი, უწინარეს ყოვლისა, მმართველ პარტიას, ვინაიდან სწორედ მასზეა დამოკიდებული, გაიმართება თუ არა არჩევნები პატიოსნად და გამჭვირვალედ. ადრეც რომ ასე ყოფილიყო, რისთვის დაგვჭირდებოდა თამაშის ახალი წესების მოფიქრება?“, — განმარტა ზურაბიშვილმა.



შეგახსენებთ, რომ კვირას პარტიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შესთავაზა პოლიტიკურ ორგანიზაციებს და გაერთიანებებს ხელი მოაწერონ დეკლარაციას ქცევის წესების შესახებ არჩევნების წინა პერიოდში. „ჩვენ უარს ვამბობთ ძალადობაზე წინა საარჩევნო კომპანიის პროცესში... ვკისრულობთ ვალდებულებას, ხელი არ შევუშალოთ სხვა პარტიებს წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში და აქციის დროს, მათ შორის, უარი ვთქვათ პარალელური აქციების დაგეგმვაზე... ჩვენ უარს ვაცხადებთ აგრესიაზე ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კომუნიკაციების დროს... უარს ვაცხადებთ მოწოდებებზე ძალადობისკენ და ზიზღის ენის გამოყენებაზე იმ თემებში, რომლებიც დაკავშირებულია უმცირესობებთან. ვაცხადებთ მზადყოფნას, ვაწარმოოთ საარჩევნო კამპანია, რომელიც ორიენტირებულია საგნობრივ დისკუსიაზე“, — აღნიშნულია დეკლარაციაში. დეკლარაცია ასევე გამორიცხავს ამომრჩეველთა მოსყიდვას, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას. დეკლარაციის ხელმომწერმა პარტიებმა უნდა იკისრონ პასუხისმგებლობა არჩევნების შედეგების აღიარებაზე, რომლებსაც ლეგიტიმურად გამოაცხადებენ ცენტრალური საარჩევნო კომისია და სამეთვალყურეო ორგანიზაციები.

დავით ზურაბიშვილმა უთხრა ჩვენს გაზეთს, რომ დეკლარაციას განიხილავს ყველა ოპოზიციური პარტია. მაგრამ ვინ მოაწერს მას ხელს და რა სახით, ჯერჯერობით უცნობია.

საქართველოში პარლამენტის არჩევნები ოქტომბერში გაიმართება. არჩევნების წინა პერიოდში პოლიტიკური სიტუაცია ქვეყანაში მძაფრდება. 11 ივნისს გორის რაიონის სოფელ კარალეთში მოხდა პოლიტიკური კოალიციის „ქართული ოცნების“ მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების შეტაკება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობით, ინციდენტის შედეგად 13 კაცი დაზარალდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააკავა შეტაკების ხუთი მონაწილე, მათ გორის რაიონულმა სასამართლომ 15 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა მიუსაჯა.

კვირას „ქართულმა ოცნებამ“ გორში მოაწყო აქცია. მან ინციდენტის გარეშე ჩაიარა. ამომრჩეველთა წინაშე გამოსვლის დროს ივანიშვილმა განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა 2008 წლის მოვლენათა ანალიზზე. „მე არ მიმაჩნია, რომ საქართველომ დაიწყო ომი რუსეთთან, ვინაიდან საქართველო არ შეჭრილა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. მაგრამ მიმაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებას უნდა განეჭვრიტა, რა შედეგები მოჰყვებოდა მის მოქმედებას ცხინვალის რეგიონში“, — თქვა ივანიშვილმა. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ „მიუხედავად ყოველივესი, ჩვენ მოგვიწევს მოვახერხოთ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია“. „საქართველოს დასავლურ ორიენტაციას ალტერნატივა არ გააჩნია, მაგრამ შესაძლებლობა აირჩიონ მეზობლები, არავის აქვს... რუსეთთან ურთიერთობაში ჩვენი პოზიცია უნდა იყოს კორექტული, მაგრამ პრინციპული, ხელისუფლების დღევანდელი მოქმედებისგან განსხვავებით, რომელიც მოქმედებს უპრინციპოდ“, — განაცხადა კოალიციის ლიდერმა. ის დაგვპირდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეეცდება, დააბრუნოს ქართული პროდუქცია რუსულ ბაზარზე.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# დასავლეთი საქართველოს მხარში უდგას...

არა — აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ოკუპაციას რუსეთის მხრიდან, დიახ — თბილისის ინტეგრაციას ევროკავშირსა და ნატოში. ეს არის ძირითადი დირექტიული მიმართულებანი, რაც გამოხატა საერთაშორისო გაერთიანებამ ორი მნიშვნელოვანი შეხვედრის დროს, რომლებიც 9 და 10 ივლისს გაიმართა. ეუთოს ორი საპარლამენტო ასამბლეის — ევროპული ორგანიზაციისა, რომელიც მუშაობს ადამიანის უფლებების დაცვაზე და დემოკრატიაზე და რომელსაც ეკუთვნის 56 ქვეყანა (მათ შორის რუსეთიც), — მსვლელობის დროს გაიმართა დისკუსია რუსეთის არმიის მიერ ორი ქართული რეგიონის — ოსეთისა და აფხაზეთის სამხედრო ოკუპაციის შესახებ.

დოკუმენტი მოამზადა პოლონელმა მიხალ შჩერბამ, ის აღიარებს, რომ საქართველოს ორივე რეგიონი ოკუპირებულია სამხედრო გზით და ამიტომ ეუთომ შესთავაზა მოსკოვის შეიარაღებულ ძალებს ნება მისცეს ევროკავშირის კომისრების სამეთვალყურეო მისიას, რათა კონტროლი გაუწიოს ძირძველი ქართული მოსახლეობის უფლებების ფაქტობრივ დაცვას.

„ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა შეშფოთებულია იმ პირთა უფლებების დაუცველობით, რომლებმაც დაკარგეს საცხოვრებელი ადგილები აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ევროკავშირის მისიის ემისარებს უნდა მიეცეს უფლება, შევიდნენ ამ ტერიტორიაზე, მაგრამ რუსეთის სამხედრო კონტინგენტი დღემდე უარს ეუბნება მათ ამაზე“, — ნათქვამია დოკუმენტის ტექსტში.

### საქართველო როგორც კურორტი

ეუთოს მოქმედება გამოხატავს ნათელ პოზიციას პრობლემასთან დაკავშირებით, რომელსაც დასავლეთი დღემდე განიხილავდა ორაზროვანი მანერით. რუსეთის ჯარების მიერ 2008 წლის აგვისტოში ორი ქართული რეგიონის ოკუპაციის შემდეგ ევროკავშირმა, რომელსაც მაშინ თავმჯდომარეობდა ნიკოლა სარკოზის მთავრობა საფრანგეთში, და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიკავეს ფრთხილი პოზიცია და ისწრაფოდნენ ლიად, არ დაეგმოთ რუსული ტანკების მიერ თბილისის ტერიტორიული სუვერენიტეტის დარღვევა.

ამას გარდა, დასავლეთის გაერთიანებამ ძალიან ცოტა გააკეთა იმისთვის, რომ მოეწოდებინა რუსეთისთვის — დაეცვა საქართველოსთან ხელმოწერილი მშვიდობიანი შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს მოსკოვის მიერ მისი შეიარაღებული ძალების გამოყვანას ოკუპირებული რეგიონებიდან და მათს დაბრუნებას საქართველოსთვის.

ეუთოს რეზოლუციის გარდა, მნიშვნელოვანია ევროკომისიის პოზიციაც, რომელმაც სამშაბათს, 10 ივლისს, ღიად დაუჭირა მხარი საქართველოს ამბიციას, რომელიც შეეხებოდა მის ინტეგრაციას ევროკავშირში. ევროკავშირის გაფართოების ინიციატივის დროს, რომელიც მოაწყო ევროპის სახალხო პარტიამ ბათუმში, ევროპის კომისარმა გაფართოებისა და კეთილმეზობლობის პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფიულემ განაცხადა, რომ საქართველოს მომავალი მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროპის მომავალთან.

როდესაც აღნიშნა პროგრესი, რაც მიაღწია თბილისმა კანონმდებლობასა და ეკონომიკის სფეროში, ფიულემ ხაზგასმით აღნიშნა ბრიუსელის მიერ დიდი მზადყოფნის გამოთქმის აუცილებლობა ქართველი ხალხის ევროპულ კავშირში სწრაფი ინტეგრაციის საქმეში.

„მე ვფიქრობ, რომ ევროკავშირი უნდა იმზირებოდეს თავისი საზღვრების მიღმაც, მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა, რომელსაც იგი ამჟამად სძლევს. ჩვენ უნდა ვიყოთ შორსმჭვრეტელები და ვიმზირებოდეთ სივრცობრივ-დროებითი საზღვრების ზევით, რასაც ჩვენ მივეჩვიეთ“, — განაცხადა ფიულემ.

### საქართველო მერიტოკრატიის პერიოდში

სწრაფვას ევროკავშირისა და ეუთოსკენ მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც, რომელმაც ბათუმში შეხვედრის დროს დაადასტურა საქართველოს განზრახვა, მოახდინოს ინტეგრირება დასავლურ გაერთიანებაში.

საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს ევროპული იდენტურობა და გამოთქვა სურვილი, რომ უახლოესი საერთაშორისო შეხვედრების დროს ევროკავშირმა მიანიჭოს საქართველოს უვიზო რეჟიმი და შექმნას თავისუფალი გაცვლის ზონა.

„საქართველოსთვის ევროპა — ეს მნიშვნელოვანი არჩევანია. საკითხი შეეხება არა მხოლოდ პრაგმატიზმს, არამედ არჩევანსაც გეოპოლიტიკური მიზიდულობის ორ პოლუსს შორის. ახლა ისევე, როგორც პოსტბოლშევიკური პერიოდის დროს, არის ორი დაპირისპირებული და ალტერნატიული ბლოკი“, — განაცხადა სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტის თვალსაზრისი ითვალისწინებს, რომ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში რჩება იმპერიალისტური რუსეთი, რომელიც ისწრაფვის აღადგინოს საკუთარი პოლიტიკური ჰეგემონია იმ ქვეყნებში, რომლებიც საბჭოთა კავშირში შედიოდნენ და რომლებმაც სსრ კავშირის დაშლის შემდეგ მიიღეს ეროვნული დამოუკიდებლობა.

იმისთვის, რომ წინააღმდეგობა გავუწიოთ ამ ტენდენციებს, რასაც მოსკოვი ახორციელებს ენერგეტიკული იარაღის და ევროკავშირიდან დასავლეთის ქვეყნების მდუმარე თანხმობის დახმარებით, უწინარეს ყოვლისა — გერმანიისა და საფრანგეთისა — და შეინარჩუნოს ეროვნული დამოუკიდებლობა, სააკაშვილმა გადაწყვიტა, ორიენტაცია აიღოს ნატოსა და ევროკავშირში შესვლაზე.

სწორედ ამიტომ ცდილობდა რუსეთი, მოეხდინა თბილისის მთავრობის დესტაბილიზაცია სხვადასხვა ინიციატივების დახმარებით — აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მცხოვრებლებისთვის რუსეთის პასპორტების გაცემიდან დაწყებული და 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის სამხედრო ოკუპაციით დამთავრებული.

il legno storto

## დედამიწის ზურგზე



ჩრდილოეთი კორეის ექსპერტებმა განმარტეს კიმ ჩენ ინის „მეურვის“ ხელისუფლებიდან გადაყენება

ლი ლიონ ხო მოხსნეს ყველა თანამდებობიდან თითქოსდა ავადმყოფობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ კიმ ჩენ ირმა, როგორც მიაჩნიათ, იგი თავისი ახალგაზრდა მემკვიდრის მფარველად გახადა. გადაყენებას უკვე უწოდეს უჩვეულო ჩრდილოეთი კორეისთვის: ბევრი მართლაც დიდი პარტიული ფუნქციონერი კვლავ რჩება თავიანთ პოსტებზე. ხელისუფლებისთვის ბრძოლის ახალი ტალღა შეიძლება სისხლისღვრით გაგრძელდეს.

* * *

ისტორიკოსმა აჩვენა ნევადაში ბირთვული გამოცდის უნიკალური ვიდეო: ატომურ ბომბს შეიძლება მოუსმინო კიდეც



ასეთი იშვიათი აღმოჩენა არ აღმოჩნდა რუსების მონაწილეობის გარეშე. ალექს ვალერსტაინის სიტყვებით, რომელმაც ვიდეო თავის ბლოგში გამოაქვეყნა, სწორედ კოლეგამ რუსეთიდან გამოუგზავნა მას დაციფრულ საარქივო ვიდეოზე, სადაც პირველად შეიძლება მოისმინო არა მხოლოდ ნამდვილი აფეთქება, არამედ მეთვალყურეთა რეაქციაც.

* * *

რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, გაეროს უშიშროების საბჭომ დანიშნა კენჭისყრა სირიის რევოლუციის დასავლურ პროექტთან დაკავშირებით



რუსეთის ფედერაცია და დასავლეთი მწვავე კონფრონტაციის ზღვარზე არიან. პრესამ გაიგო, რომ თავად პუტინმა უბრძანა დიპლომატებს მხარი დაუჭირონ მკაცრ ხაზს. ზოგიერთი განცხადება ასეთი სულისკვეთებით უკვე გააკეთა საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა. დასავლეთს კი შეუძლია, წავიდეს ირანის სცენარით და დაიწყოს ძებნა სირიაში ქიმიური იარაღისა, რომელსაც სსრ კავშირი აწვდიდა მას 1980-იან წლებში.

* * *

ვენესუელის პრეზიდენტობის კანდიდატები ხელს მოაწერენ შეთანხმებას არჩევნების შედეგების უსიტყვო აღიარებაზე

მართალია ქვეყანაში მორიგ პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობისთვის დარეგისტრირებულია 7 კაცი, ძირითადი ბრძოლა გაიმართება უგო ჩავესსა და ოპოზიციური ბლოკის კანდიდატს ენრიკე კაპრილეს შორის. არჩევნები დანიშნულია 7 ოქტომბრისთვის.



# ჩხერიმელას გრილ ნაპირზე...



## მჭადი, ყველი, ცოტა პრასი და „ციცქის“ წვენი თხმელის ძირში

საქმემ მოითხოვა და რამდენიმე დღით შევრჩი ხარაგაულს... ულამაზესი მთები, თვალწარმტაცი ხედები და, რაღა თქმა უნდა, ჩხერიმელა – ხან შხუილით, ხან დუდუნით, ხან რაკრაკით მომდინარე, რომლის ნაპირებს უამრავი სტუმარი ჰყავს ამ თაკარა სიცხეში.

– რა ვქნათ, არ წევიდოოოთ?.. – ბინის ღია ფანჯარასთან მიმდგარს „ნივიდან“ ზემო იმერულად მეხმიანება ძველი უნივერსიტეტელი მეგობარი, მთელ თბილისში კარგად ცნობილი იურისტი, რომელიც ამ ზაფხულს, რა გასაკვირია, მშობელ კუთხეს სტუმრობს, გუშინ შემთხვევით შემხვდა და მოვილაპარაკეთ, რომ ხვალ ერთი-ორი საათი ჩხერიმელას ნაპირზე, სიგრილეში გაგვეტარებინა.

– ჩამოვდივარ! – და რამდენიმე წუთში უკვე მის გვერდით ვჯდები მანქანაში.

– გცხელოდა წუხელ?!.

– თითქმის არ მძინებია... აღარ შემიძლია!

– „ნიჩევო“, ჩხერიმელა გაგვაგრილებს, ცოტა ჩემი დაწურული „ციცქის“ წვენიც გავსინჯოთ, თვალს მიკრავს ძველი მეგობარი, რაღა თქმა უნდა, უკვე ჩემი მასპინძელი და მოძველებული „ნივა“ მარჯვედ მიჰყავს უსწორმასწორო გზაზე (ხარაგაულშიც შენდება გზები, აბა, რა გგონიათ!ძ.

– რა „ციცქა“ კაცო, ამ გაგანიაში! – ვითომ ვბრაზობ, ვითომ არ მინდა...

– შენ წყნარად იჯექი... ნატომ კეცის მჭადები დაგვიცხო ძმაო, ხარაგაულის ყველი გაგისინჯავს?.. გამოვიარე ბაზარში და ყველთან ერთად ხარაგაულის სიმბოლო – ცოტა პრასიც ვიყიდე – სუფრის დასამშვენებლად...

– ხარაგაულის სიმბოლოა პრასი?..

– მაშ... პრასი და ჯონჯოლი!.. მათი სულები გაანათლოს ღმერთმა – ფარცხნალელები რეზო თაბუკაშვილი და დევი აბაშიძე აქაური ეკალათიც ამაყობდნენ – ფერდობებზეა შეფენილი და ძაღლი ვერ სწვდება მისაფსმელადო!... (ვიცინით გულიანადძ.

ერთ ადგილას აჩერებს შოთა „ნივას“. აქ, ზაფხულზე საკმაოდ დაკლებული ჩხერიმელა, უფრო ღრმაა, სველი სიპი ქვებიც ნაკლებადაა, ანუ ფეხის დასრიალების საშიშროებაც ნაკლებია. შოთას თან კალათი გადმოაქვს და იქვე მოზრდილი თხმელის ჩრდილში დგამს.

– აბა, წავედით!.. „პლავკა“ ხომ გაცვია?!

– მაშ, კაცო!.. აი, პირსახოციც!..

ვიხდით და ნელ-ნელა შევდივართ ჩხერიმელაში. წყალი საკმაოდ ცივია. შოთა ჯერ პეშვით ისხამს ტანზე, ეჩვევა. მეც ვბაძავ, მერე კი ორივენი ვლგაფუნობთ მდინარეში, ხმაურით დავცურავთ, მეორე ნაპირიდან ჭინკა ბიჭები გვიქნევენ ხელს.

– უჰ, აგაშენა ღმერთმა! – ვამბობ ჩემი მასპინძლის მისამართით და ფრთხილად გამოვდივარ ნაპირზე, ეშმაკს არ სძინავს, ემანდ, ფეხი არ დამიცდეს.

ფართოდ ელიმება შოთას:

– არ გინდა ჯერ შემშრალება, წამო, დავეყაროთ თხმელის ძირში, ვითომ ჩვენც ჭინკა ბიჭები ვართ!

შოთა დაბალ ბალახზე ქაღალდს აფენს, კალათიდან თეფშები ამოაქვს და მჭადებსა და ყველს აწყობს, ზედ ხასხასა პრასის ფოთლებს აღებს, ბოთლით ახალი ტყემლის წვენიც ჩაუდევს ნატოს კალათში, სამლიტრიანი ბოთლით ღვინოც ჩამოდგა შოთამ, ჭიქებიც დააწყო და მჭადს წაატეხა.

– აბა, მიდი, დაასხი თეფშზე ტყემალი, მკვდარს გააცოცხლებს ისეთია! – მეუბნება და მჭადს და ყველს პრასს აყოლებს, მერე ჭიქებს ავსებს „ციცქის“ ნაჟურით.

– მოდი, ჩემო გოჩა, ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს! სტუდქალაქში გატარებული ახალგაზრდული წლები ჯობდა თავდაღმართში სვლას, მაგრამ რას იზამ!..

– იცოცხლე, შოთა, ღმერთი შეგვეწიოს! – ნება-ნება ვსვამ, მართლაც სასიამოვნოა „ციცქის“ წვენი.

– ლახუნდარაში გიდგას?..

– აბა, როგორ!.. ერთი ხუთასი ძირია, მაგრამ უკვე ძალიან მიჭირს მოვლა. აღარავინ მყავს იქ, შვილებს კიდე არ ცალიათ, მეც ვერ ჩავდივარ ხშირად... დაიჟინე, მეჩქარება, მეჩქარება თბილისშიო, თვარა, განახვებდი იქაურობას... მოდი, გოჩა, ჩვენს ძირს და ფესვს, შენს ქვემო იმერეთს და ჩემს ხარაგაულს გაუმარჯოს!

– სერგო რომ არ გაგეჩინათ, ორჯონიკიძე, მართლაც არა გიშავთ. – ღიმილით წავუიაზვე მასპინძელს. არ შეუმჩნევია, ეტყობა მიჩვეული იყო.

– ჰო, მაგრამ ნაღდი ერისშვილებიც ხომ ბლომად გამოზარდა? მარტო ფარცხნალიდან ნახე რამდენია: შენ იცი, რომ ამ სოფელში გალაკტიონი მასწავლებლობდა და სწორედ მაშინ დაწერა: „მახსოვს ხარაგაულის სევდიანი სადგური“. ფარცხანალელები არიან: ევგენი ხარაძე, თენგიზ ბუაჩიძე, რეზო თაბუკაშვილი, დევი აბაშიძე, კიტა ბუაჩიძე... ხედავ, რა ხალხია?!

– კი, კაცო, არ გედავები...

– მაგრამ, ახლა ნამეტანი გაუჭირდა აქაურობას... ხომ დაიცალა კომუნისტების დროს, გაავსო რუსთავი ხარაგაულის რაიონმა, ახლა კი უცხოეთში არიან გადახვეწილები. სამაგიეროდ ჩინელები მოდიან და მოდიან... ერთი ჩინელი გელაშვილად ჩაწერილა, გესმის?! გადაიხადა ფული და, მორჩა! მაღაზია აქვთ გახსნილი ხარაგაულში. იმ დღეს „ბოტასები“ ვიყიდე, კარებამდე მიმაცილა გამყიდველმა ჩინელმა გოგონამ, თან სუფთა ქართულით დამლოცა: „მშვიდობაში, მშვიდობაშიო“.

– ჩვენები რომ არიან გადახვეწილები და ბევრი ქურდობს კიდეც, ეგ კარგია?! – ვედავები შოთას.

– რა თქმა უნდა, ცუდია, მაგრამ არა მგონია, ორ შაურად უცხოურ გვარებს ილებდნენ იქ ჩვენები და კანონი მკაცრად არ აკონტროლებდეთ საცოდავებს... აქ სადაა კანონი, თბილისში, სანაპიროზე, იუსტიციის სახლს ჩინელები აშენებენ, ქართველებს კი სამუშაო არა აქვთ... კაი, დავლიოთ, დავლიოთ... ეს ყველაფერი შენც კარგად იცი... მოდი, ჩვენი სამშობლოს უკეთეს მომავალს გაუმარჯოს, გოჩა! საშველი აღარაა ოცი წელიწადია, ჰოდა, იქნებ დაადგეს საშველი!..

– შენ რატომ აღარ სვამ?.. კანონი არ კანონობსო და პატრულის ძე გეშინია, რაფერაა შენი საქმე?!

– რაც გაკეთდა, კი ბატონო, მაგრამ, ერის გადაგვარებას რა შეაჩერებს?! დღეს რომ უცხოეთში ქართველი ემიგრანტები ბავშვებს აჩენენ, შენ გგონია, რომ ისინი ქართველებად დაიზრდებიან?!. ასეთი რამდენი პრობლემაა – ტრადიციების, სულიერების, მამათა და შვილთა ურთიერთობის... მოდი, რაც არის, არის, ერთხელაც გავცუროთ ჩხერიმელაში!..

ჰოდა, გავცურეთ, ზემოდან ჩხერის ციხე გადმოგვყურებდა.

ჩხერიმელას ნაპირებზე ყოფნა, იცოცხლეთ, სანატრელია თბილისის პაპანაქებაში, მაგრამ სადაა?! ვზივართ უბნელები „ალექსანდრეს ბაღში“ ნეკერჩხალს შეფარებულნი და, რაღა თქმა უნდა, პოლიტიკაზე „ვახურებთ“, არის ერთი დაკა-დაკა.

– არა კაცო, ესენი სრულ ჭკუაზე ვერ არიან, რახან ბიძინა ივანიშვილი აფინანსებს, სამშენებლო კომპანია „ელიტა ბურჯის“ მშენებლები შეუჩერებიათ, ოპერის თეატრის რემონტიც შეუწყვეტიათ!.. ვითომ რაო, ამით რას იზამენ?! – ბობოქრობს ბონდო.

– რაც უნდა იყვირო, ფაქტია, ამ პოლისების დარიგებით, უამრავ ქულებს დაიწერენ პენსიონერებისგან, – ფრთხილად ურთავს „ლერწამივით მოქანავე“ მიშა, – ეს ენდიაია თუ რაღაცაა, კვლევები რომ ჩაატარა, ნახეთ, ისევ „ნაციონალები“ უსწრებენ ყველას... მე, მაგალითად, მეშინია, ძმაო!..

– შენ, ბატონო, სულ გეშინია, ხან ასე ლაპარაკობ, ხან – ისე... ამათი საქმე წასულია, გორის აქციას თუ უყურე?!.

– ვუყურე, მაშ!

– ჰოდა, გადატენილი რომ არის აქციებზე თბილისიდან დაწყებული მთელი საქართველო, მთავარი მაინც ეგაა, ძმაო – ხალხის ხმა, ხალხის ნება... იკვლიოს იმ აფერისტმა ნავარომ რამდენიც უნდა. გალაკტიონი იცი რას ამბობს (ბონდოს პოეზია უყვარსძ? „ეს არის ძალა ხალხის, ეს არის ნება ხალხის“.. ახლა, არა მგონია მეგრელებმა თავი შეირცხვინონ და კიდეც დამთავრდება ამითი საქმე!

– არ ვიცი, არ ვიცი!..

ძალიან ჩამოცხა, კამათის ხალისიც დაიკარგა და ნელ-ნელა ვიშლებით. მე ისევ ჩხერიმელას გრილი ნაპირი მაგონდება.

**ვილენ მარდალეიშვილი**

## რეალობა და პერსპექტივა

# საქართველოს მანდარინის წარმოების შესაძლებლობები

**საქართველოში ამჟამად ყოველწლიურად საშუალოდ 60 ათასი ტონა მანდარინის მოსავალი მოდის და ის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი საექსპორტო პროდუქტია. ამ სფეროში დასაქმებულ ფერმერებს მოსავლიანობის გაზრდაში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის“ პროექტი ეხმარება.**

„ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის“ პროექტის ყურადღება მანდარინის წარმოებამ თავისი საექსპორტო პოტენციალით მიიპყრო. **აღმოჩნდა, რომ ქართული მანდარინი თავისი თვისებებით არაფრით ჩამოუვარდება იტალიურ თუ ესპანურ ანალოგებს, თუმცა, ამ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში მანდარინის მოსავლიანობა ძალიან დაბალია. საქართველოში, აფხაზეთის გარდა, მანდარინის პლანტაციები სულ 10 ათას ჰექტარზეა გაშენებული და აქედან 8 ათასი აჭარაზე მოდის**. სწორედ იქ ხორციელდება „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის“ პროექტი, რომელზეც მისი ერთ-ერთი კოორდინატორი, მამუკა გაჩეჩილაძე, საუბრობს:

**„არ გამოგვითქვამს პრეტენზია, რომ დავეწიოთ ესპანეთს და გადავუსწროთ იტალიას მაღალტექნოლოგიურ წარმოებაში, მაგრამ წლების განმავლობაში, რადგან რუსეთის ბაზარი დავკარგეთ ემბარგოს შემდეგ, ამ დარგმა დაიწყო უკან სვლა. ნელ-ნელა რომ აღვადგინოთ, ფერმერს უნდა მივცეთ შესაძლებლობა, პირველ რიგში, ისწავლოს, როგორ გამოიყენოს ძალიან მარტივი ტექნოლოგიები მოსავლიანობის და, რაც მთავარია, ხარისხობრივი გაუმჯობესების მიზნით“.**

ამ ახალი ტექნოლოგიების ფერმერებისთვის გადასაცემად ამერიკის „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის“ წარმომადგენლებმა რამდენიმე სასწავლო ბაღი შეარჩიეს.

მანდარინის პლანტაცია, რომელშიც მე ვიმყოფებოდი, ბათუმის აეროპორტის მახლობლადაა გაშენებული და წლების მანძილზე არაფრით გამოირჩეოდა მეზობლად მდებარე ბაღებისგან. ახლა, ამ და კიდევ რამდენიმე სხვა ბაღის მაგალითზე, 800-ზე მეტი აჭარელი ფერმერი მანდარინის მოვლის ახალ ტექნოლოგიას ეუფლება. ფერმერთა 30-კაციან ჯგუფებს ორ-ორი მასწავლებელი ჰყავთ. მათ შორისაა შოთა ლამპარაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

**„მანდარინის წარმოების ტექნოლოგიის ტრენინგების სწავლება ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა, პირველ რიგში, მანდარინის გასხვლა, შემდეგ მანდარინის ბაღში ნიადაგის საფარის დამუშავება დაბარვისა და კულტივაციის გარეშე“...**

ამ ახალი მეთოდებით მანდარინის პლანტაციის მოვლა-ექსპლუატაციას ეჭვის თვალით უყურებდა ფერმერთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ ვინც გარისკა, შედეგით კმაყოფილია. მათ შორისაა ფერმერი ემზარ რომანაძე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვადან. მისი თქმით, ნახევარ ჰექტარ ფართობზე გაშენებულ ბაღში ყოველწლიურად დაახლოებით 10-12 ტონა მანდარინს კრეფს, რომლის მესამედი, ცოტა მეტიც, რეალიზაციისთვის გამოუსადეგარი, არასტანდარტული ნაყოფი იყო.

**„ამდენი მოსავალი რომ მოდიოდა, მარტო მე ვერ ვკრეფდი და დამხმარე მუშისთვის ფული უნდა მიმეცა. ბოლოს ვიფიქრე, შევეშვები-მეთქი, რადგან თავის ხარჯს ვერ ფარავდა“.**

ემზარ რომანაძის განცხადებით, შარშან სტანდარტული მანდარინის რეალიზება თითქმის 2 ლარად მოახერხა, მაშინ როდესაც არასტანდარტული 10 თეთრი ღირს, რაც მხოლოდ ნაყოფის დაკრეფის ხარჯებს ფარავს. ბაღის შენარჩუნება კი მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც USAID-ის „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის“ კონსულტაციების შედეგად მოსავლის მისაღებად საჭირო ხარჯების შემცირება და სტანდარტული ნაყოფის რაოდენობის გაზრდა მოხერხდა. ახლა მისი ბაღი „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის“ პროგრამის სასწავლო ნაკვეთია და მის მაგალითზე სხვა ფერმერები სწავლობენ მანდარინის ახლებურ მოვლას. „მანდარინის წარმოების სასწავლო პროგრამის“ წარმომადგენელს გურამ მემარნეს იმედი აქვს, რომ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით არასტანდარტული ნაყოფის რაოდენობა 15-10 პროცენტამდე შემცირდება: **„ამ ტექნოლოგიებით, დარწმუნებული ვართ, არასტანდარტულის რაოდენობა შემცირდება და მოსავლიანობა გაიზრდება სტანდარტულის ხარჯზე. სტანდარტული ახალ წლამდე ერთი გრამიც არ დარჩება რეალიზაციის გარეშე“.**

უკვე მომავალი წლიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ადგილზე მოყვანილ ნერგებს თვითღირებულების ფასად გადასცემს ფერმერებს. ეს კი გადაბერებული პლანტაციების განახლების საშუალებას იძლევა. ასევე მუშაობენ სამაცივრე მეურნეობის მოწყობაზეც და იმედოვნებენ, რომ 800-ზე მეტი ფერმერის გადამზადების შემდეგ მანდარინის საექსპორტო პოტენციალი გაიზრდება.

**კახა მჭედლიძე.**
**რადიო „თავისუფლება“**

## ფეხბურთი




# საქართველოს ეროვნული ნაკრები ბელარუსსა და ესპანეთს „დინამო არენაზე“ დაუპირისპირდება

**გულშემატკივართა უდიდესი ინტერესის გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წლევანდელ საშინაო თამაშებს „დინამო არენაზე“ გამართავს.**

ამის შესახებ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უკვე ოფიციალური წერილებით აცნობა ფიფას, უეფას და ჩვენი მეტოქე ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებს.

მაშასადამე, 7 სექტემბერს, შესარჩევი ციკლის პირველ საშინაო მატჩს „ჯვაროსნები“ ბელარუსის ნაკრების წინააღმდეგ, „დინამო არენაზე“ გამართავენ, 11 სექტემბერს კი, ამავე სტადიონზე ევროპის 2012 წლის ჩემპიონს – ესპანეთის ნაკრებს ვუმასპინძლებთ.

აქვე გეტყვით, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროშესარჩევის დარჩენილ ორ საშინაო მატჩს „მიხეილ მესხის“ სახელობის სტადიონზე გამართავს.

ალექსანდრე ჩივაძის გუნდი 15 აგვისტოს ხორვატეთს დაუხვდება, 6 სექტემბერს კი – ესტონეთის ნაკრებს.

## ცხენოსნობა

# ორი ჯილდო „ბაქოს მასტერსზე“



**აზერბაიჯანის დედაქალაქში ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით დაბრკოლებათა გადალახვაში „ბაქოს მასტერსი“ გაიმართა, რომელიც „კავკასიის ლიგის“ 2012-2013 წლების მესამე ეტაპი იყო. შეჯიბრებაში მასპინძლებთან ერთად საქართველოს, გერმანიის, თურქეთისა და ირანის მხედრებიც მონაწილეობდნენ, თითოეულს ორი ცხენით ასპარეზობის უფლება ჰქონდა.**



ძირითადი შეჯიბრება უჯარიმოდ გაიარეს თბილისელმა შალვა გაჩეჩილაძემ, რომელსაც საერთაშორისო სარბიელზე არაერთხელ გამოუჩენია თავი, და ბაქოელმა ჰიკმეტ მუსაევმა. გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი ხტომები დაინიშნა. გაჩეჩილაძემ (ცხენი „დარი“ძ 4 საჯარიმო ქულით გრანპრი დაიმსახურა. მუსაევმა და იმავე შალვა გაჩეჩილაძემ, ოღონდ ცხენი „ჩვინ გუშით“ 8-8 საჯარიმო ქულა მიიღეს. დროის უკეთესი მაჩვენებლით მუსაევს მეორე, გაჩეჩილაძეს კი მესამე ადგილი ერგო.

**ლაშა დიდია**

## ლიცენზიატი

# ზურაბ დათუნაშვილი

**ქართველ ქომაგებს, ალბათ, არასდროს დაავიწყდებათ ის საოცარი და უცნაური ილეთი, ახალგაზრდა ფალავანმა ზურაბ დათუნაშვილმა სალიცენზიო ტურნირზე უნგრელ ევროპის ჩემპიონ პეტერ ბასცის რომ ჩაუტარა – თავს ზემოთ გადაახტა მეტოქეს და ჩოქბჯენში გადაიყვანა.**

– ეს ფანდი შარშან მსოფლიოს პირველობაზე ამერიკელი ელის კოლემანსის შესრულებით ვნახე – ირანელ მოჭიდავეს ჩაუტარა. ძალიან ეფექტური იყო და მომეწონა, – იგონებს ზურაბ დათუნაშვილი, – ამ ილეთზე მუშაობა რომ დავიწყე, ბევრმა მითხრა, ტყუილად ირჯები, არ გამოგივაო. მართლაც, რამდენიმე შეჯიბრებაზე ხელი მომეცარა. არ მოვეშვი, ბოლოს მაინც მივაღწიე მიზანს, თუმცა ამერიკელი უფრო დახვეწილად ასრულებს...

ჭიდაობა ექვსი წლისამ დაიწყო ვილიამ ხარაზოვთან და დღემდე მასთან ვარჯიშობს. შარშან ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მსოფლიოზე კი მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა. წლეულს უფროსებში კონტინენტის ჩემპიონატზეც უნდა მოესინჯა ძალები, მაგრამ ორგზის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ მანუჩარ ცხადაიას წონა არ დააკლებინეს და 74 კილოში აჭიდავეს. ამ წონაში 2012 წლის ოლიმპიადისთვის ოლიმპიური ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია ემზადებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ზურაბმა სოფიაში გამარ-



თულ პირველსავე სალიცენზიო ტურნირზე ქართველ „კლასიკოსებს“ ლონდონის თამაშების საგზური მოუტანა, შეკრებაზე მყოფ კვირკველიას უთქვამს – რადგან ლიცენზია დაიმსახურა, ოლიმპიადაზე წასვლა მასზე ალალია, ახალგაზრდა ბიჭია და ხელს არ შევუშლიო. ასე მოხვდა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ოლიმპიურ გუნდში ახალგაზრდა ზურაბ დათუნაშვილი, რომელსაც მამა მორაგბე ჰყავს, ძმა – მოჭიდავე, მის წონაში გამოდის.

**– 74 კილოში დიდი კონკურენცია იყო: ამ წონაში მანუჩარ ცხადაიას უნდოდა დამკვიდრება, იქით – ოლიმპიურ ჩემპიონ მანუჩარ კვირკველიასთვის უნდა გაგეწია მეტოქეობა. სხვებიც იყვნენ. არ შეგშინებია?**

– ჯანსაღი კონკურენცია სასარგებლოა, უფრო იზრდები, თუ მისი შეგეშინდება, წარმატებას ვერ მიაღწევ.

**ვაჟა დანელია**

## კალათბურთი

# „ოცნების გუნდს“ ბრაზილიასთან გაუჭირდა

**აშშ-ს საკალათბურთო ნაკრებმა შინ უკანასკნელი საწვრთნელი შეხვედრა გამართა და ამით ფაქტობრივად დაასრულა ლონდონის ოლიმპიადისთვის მზადება.**

**„დრიმ თიმად“ „ანუ „ოცნების გუნდად“ წოდებულმა ნაკრებმა ლას-ვეგასში საკმაოდ თანაბარ ბრძოლაში 80:69 დაამარცხა ოლიმპიადის კიდევ ერთი მონაწილე ბრაზილია და შეტევაში არადამაჯერებელი თამაშისთვის კრიტიკა დაიმსახურა.**



„დრიმ თიმში“ 2008 წლის პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონი გუნდიდან ხუთი მონაწილეა – კობი ბრაიანტი, ლებრონ ჯეიმსი, კარმელო ენტონი, კრის პოლი და დერონ უილიამსი და მიუხედავად იმისა, რომ ტრავმების გამო ნბა-ს რამდენიმე ვარსკვლავი დააკლდა, ლონდონის თამაშებში მაინც უპირობო ფავორიტად ითვლება.

ამერიკელებმა ბრაზილიასთან ამხანაგური შეხვედრის პირველი მეოთხედი სუსტად ჩაატარეს და 17:27 დათმეს. შემდეგაც შეტევაში ძალიან ბევრ სროლას აცილებდნენ, მაგრამ დაცვაში თამაში გამოასწორეს და ამის ხარჯზე შეძლეს მეტოქის დამარცხება.

ამერიკელთა შორის 30 ქულით საუკეთესო იყო ლებრონ ჯეიმსი, რომელიც შედარებით მაღალი პროცენტით ისროდა. 11 ქულა მოაგროვა ნბა-ს ბოლო სეზონის ბომბარდირმა კევინ დურანტმა, ხოლო ბრაიანტი 8 ქულით დაკმაყოფილდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა და ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი. ობამა თავადაც ყოფილი კალათბურთელი და აქტიური გულშემატკივარია.

**ბარაკ ობამა, აშშ-ს პრეზიდენტი:** „ჩვენი ნაკრები დაუჯერებლად ნიჭიერი კალათბურთელებითაა დაკომპლექტებული და ყველას იმედი გვაქვს, რომ პეკინის წარმატებას გაიმეორებს. მე ყოველთვის აქტიურად ვადევნებდი თვალს ოლიმპიადების საკალათბურთო ტურნირებს, განსაკუთრებით 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიადის შემდეგ. ფანტასტიკური გუნდი გვყავდა. მაშინ მე გამორჩეულად „ჩიკაგო ბულზის“ ბიჭებს, მაიკლ ჯორდანს და სკოტი პიპენს ვქომაგობდი. მოგეხსენებათ, ჩიკაგო ჩემი მშობლიური ქალაქია“.

აშშ-ს პრეზიდენტი გამოეხმაურა კობი ბრაიანტის მიერ რამდენიმე დღის წინათ გაკეთებულ განცხადებას – ჩვენი დღევანდელი ნაკრები 1992 წლის პირველ „დრიმ თიმს“ დაამარცხებდაო.

**ბარაკ ობამა:** „კობი სულით სპორტსმენია და აქვს იმის ამბიცია, რომ ყველაზე ძლიერებს შეედაროს. ეს მის ბუნებაშია და ასეთი მიდგომა ეხმარება უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლაში“.

ლონდონის ოლიმპიადაზე საკალათბურთო შეჯიბრი 29 ივლისს იწყება. კაცთა ტურნირში 12 ნაკრები მონაწილეობს, რომელიც ორ ჯგუფშია განაწილებული.

აშშ-სთან ერთად ჯგუფში ითამაშებენ არგენტინა, საფრანგეთი, ლიტვა, ტუნისი და ნიგერია. მეორე ჯგუფში მოხვდნენ მასპინძელი დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, რუსეთი, ბრაზილია, ავსტრალია და ჩინეთი.

## მსოფლიოს გამოჩენილი მოჭადრაკეები

# პოლ მორფი

**გამოჩენილი ამერიკელი მოჭადრაკე პოლ მორფი დაიბადა 1837 წელს ნიუ-ორლეანში. წინაპრების გვარი მარფი არ ექვემდებარებოდა ესპანურ გამოთქმას და მალე მორფად გარდაიქმნა.**

**კომბინაციური თამაშის დიდოსტატი პოლ მორფი XIX საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონად არის აღიარებული.**

1858 წელს პარიზში მან დაამარცხა ლონდონის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული (1851წ ლეგენდარული ადოლფ ანდერსენი) 7,5:1,5წ. სწორედ ამ გამარჯვებამ მოუტანა მსოფლიოს უგვირგვინო ჩემპიონის სახელი. იმ დროს მსოფლიო ჩემპიონატები არ ტარდებოდა და ანდერსენმა ზემოხსენებულ ტურნირში გაიმარჯვა სამყაროს უძლიერეს მოჭადრაკეთა შორის. მოგახსენებთ, პირველი ოფიციალური მატჩი მსოფლიო პირველობაზე გაიმართა 1885 წელს სტეინიცსა და ცუკერტორტს შორის. გაიმარჯვა სტეინიცმა 12,5:7,5 და მსოფლიოს პირველი ოფიციალური ჩემპიონი გახდა.

პოლ მორფიმ ბავშვობიდანვე გამოავლინა თამაშის უბადლო ნიჭი. ბიძასთან თამაშის დროს არასწორად გადაადგილებულ პაიკთან დაკავშირებით, 5 წლის ბავშვმა საარკისებური სიზუსტით აღადგინა პარტიის მთელი მსვლელობა და წყენით მიმართა ბიძამისს – ყველა ნათამაშევი პარტია კარგად მახსოვს და მსგავსი უთანხმოების შემთხვევაში ჭადრაკს აღარ გეთამაშებიო.

საყოველთაო სენსაცია მოახდინა მორფის ერთდროული თამაშის სეანსმა ბირმინგემში, სადაც თვალდახუჭულმა ითამაშა 8 უძლიერესი მოჭადრაკის წინააღმდეგ.

ამერიკელმა 6 პარტია მოიგო, ერთი ყაიმით დაასრულა და მხოლოდ ერთი წააგო.



დროთა მსვლელობამ ვერაფერი დააკლო მორფის შემოქმედებას. მისი ძლიერების საიდუმლოება, მსოფლიოს IV ჩემპიონის ალექსანდრ ალიოხინის აზრით, ღრმად გააზრებული პოზიციური თამაშია. მდიდარი ფანტაზია, მიზანდასახული შეტევები და ცეცხლოვანი კომბინაციები საყოველთაო აღტაცებას იწვევს.

60-იანი წლების დასაწყისში მორფიმ გადაწყვიტა უარი ეთქვა ჭადრაკზე და იურისპრუდენციისათვის მიეძღვნა ცხოვრება. ამას ხელი შეუშალა სამოქალაქო ომმა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, რის გამოც იგი ჰავანაში გაემგზავრა (1862წ, სადაც არაერთი ბრწყინვალე პარტია ითამაშა. ჰავანიდან იგი გაემგზავრა საფრანგეთში, სადაც ძირითად დროს უთმობდა ევანსის გამბიტის სხვადასხვა ვარიანტის საფუძვლიან გაანალიზებას (ევანსი პროფესიით გემის კაპიტანი გახლდათ).

1864 წელს ნიუ-ორლეანში დაბრუნების შემდეგ აქტიურ საჭადრაკო ცხოვრებას ერიდება, ხოლო 1869 წლიდან მთლიანად ანებებს თავს ჭადრაკს, რითაც საოცრად მოგვაგონებს ლეგენდარულ ბობი ფიშერს (**თ. შ.**წ.

მისი სულიერი მდგომარეობა ე. წ. ჩუმი მელანქოლიიდან თანდათან გადაიზარდა დევნის მანიაში. 1867 წელს მიემგზავრება ევროპაში, რათა მეგობრების წრეში გული გადაეყოლებინა და როგორმე შეემსუბუქებინა ავადმყოფობა, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მთლიანად ჩაიკეტა საკუთარ ოჯახში და მხოლოდ დედის მიწოდებულ საკვებს იღებდა, რადგან ეჩვენებოდა, რომ მისი მოწამვლა სურდათ.

აღესრულა 47 წლის ასაკში 1884 წელს.

**ევანსის გამბიტი**
**მორფი – უცნობი**
**(თეთრები ეტლის გარეშე თამაშობენ)**

| | |
|---|---|
| 1. e4-e5 | 10. e4:d5-მa5 |
| 2. მf3-მc6 | 11. ეe1+-კe6 |
| 3. კc4-კc5 | 12. d5:e6-მb3 |
| 4. b4-კ:b4 | 13. e6:f7+-მფd7 |
| 5. c3-კa5 | 14. კe6+-მფc6 |
| 6. d4-e5:d4 | 15. მe5+-მფb5 |
| 7. 0-0-მf6 | 16. კc4+-მფa5 |
| 8. კa3-კb6? | 17. კb4+-მფa4 |
| 9. ლb3-d5 | 18. a2:b3 X |

მოამზადა
**თამაზ შენგელიამ**

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს
# ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება
## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | | | | [illegible] | | | |
| [illegible] | | | | [illegible] | | | |
| [illegible] | | | | [illegible] | | | |
| [illegible] | | | | [illegible] | | | |
| [illegible] | | | | | | | |
| [illegible] | | | | | | | |
| [illegible] | | | | | | | |

## ეს საგულისხმოა

# კალენდარი ციფრებსა და ფაქტებში

**ჩვენს ერამდე 4236 წელს** ძველმა ეგვიპტელებმა შექმნეს ყველაზე ძველი კალენდარი.

**1582 წლის** 5 ოქტომბრის შემდეგ ბრიტანეთში დადგა უმალვე 15 ოქტომბერი, როდესაც ქვეყანა გრიგორიანულ კალენდარზე გადავიდა.

**კორეაში** ადამიანის ასაკის ზრდა ხდება არა ბავშვის დაბადების დღეს, არამედ 1 იანვარს. როდესაც ბავშვი იბადება, მისი ასაკი ავტომატურად ითვლება 1 წლისად, ხოლო მომდევნო წლის 1 იანვარს ის 2 წლისა ხდება.

**სახელგანთქმულ სტოუნჰენჯს,** რომელიც ჩვენს ერამდე დაახლოებით 1700 წელს ააგეს, იყენებდნენ ვარსკვლავებს შორის მზის ადგილის განსაზღვრისთვის. მას „ქვის ხანის კალენდარს“ უწოდებენ.

**გაეროში** არის კალენდრის პროექტი, რომლის მიხედვითაც ყოველი თვე დაიწყება ორშაბათიდან – ეს მოხერხებულია საფინანსო ანგარიშგებისთვის. თუმცა მაშინ თებერვალში, მაისში, აგვისტოსა და ნოემბერში იქნება 35 დღე თითოეულში, ყველა დანარჩენ თვეში კი – 28 დღე.

**თურქმენეთში** ყოფილმა პრეზიდენტმა იანვარს თავისი სახელის უკვდავსაყოფად თურქმენბაში დაარქვა, აპრილს კი თავისი დედის საპატივცემლოდ – გურბანსოლტანეჯე.

**მაიას ინდიელებს** სამი კალენდარული წელი ჰქონდათ – „ცოლკინი“ 260 დღისგან, სარიტუალო, „ტუნი“ – 360 დღისგან, მთვარისა და „ჰააბი“ 365 დღისგან, მზისა. უკანასკნელი წლის ხანგრძლივობა გათვლილი იყო უფრო ზუსტად, ვიდრე თანამედროვე კალენდარში, და ზუსტ ასტრონომიულ წელს ჩამორჩებოდა სულ რაღაც 22 წამით.



**ქართული მართლმადიდებელი ეკლესია** (როგორც ზოგიერთი სხვა მართლმადიდებელი ეკლესიაც) დღემდე იულიუსის – „ძველი კალენდარული სტილის“ კალენდრით ცხოვრობს.

**ჩვენს წელთაღრიცხვამდე** 3761 წლიდან მოდის წელთაღრიცხვა ისრაელში, ესე იგი „სამყაროს შექმნის მომენტიდან“.

## ინფორმაცია

# ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი ნაცარგორაში

**საქართველოს** ეროვნული მუზეუმის და ვენეციის კა-ფოსკარის უნივერსიტეტის საერთაშორისო ექსპედიციამ სოფელ ნაცარგორაში, არქეოლოგიური კვლევის შედეგად ძვ.წ. III ათასწლეულის საცხოვრებელი და სამეურნეო კომპლექსი გამოავლინა.

როგორც ეროვნული მუზეუმიდან იტყობინებიან, ნაცარგორაზე არქეოლოგიურ სამუშაოებს გასული საუკუნის 80-იან წლებში, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიცია ალექსანდრე რამიშვილის ხელმძღვანელობით აწარმოებდა.

მაშინდელმა აღმოჩენებმა ცხადყო, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებობდა მრავალფენიანი ნასახლარი, სადაც ერთდროულად ორი მტკვარ-არაქსის და ბედენური კულტურა გამოვლინდა.

ინფორმაციის თანახმად, 80-იან წლებში აღმოჩენილი მასალა გამოსაკვლევი და გამოუქვეყნებელი დარჩა. 2009 წლიდან მიმდინარეობს ქართულ-იტალიური საერთაშორისო პროექტი „შიდა ქართლის ადრე ბრინჯაოს ხანის ძეგლების შესწავლა“.

პროექტის ფარგლებში არქეოლოგიური კვლევა-ძიება ახალი მეთოდებითა და ტექნოლოგიებით გაგრძელდა. გამოვლინდა ადრე ბრინჯაოს ხანის საცხოვრებელი და სამეურნეო კომპლექსი, სამუშაო და სამეურნეო იარაღები, ახლებურად დამუშავდა აღმოჩენილი მასალა.

აღნიშნული პროექტი, გარდა არქეოლოგიური სამუშაოებისა ითვალისწინებს 80-იან წლებში აღმოჩენილი მასალის კვლევასა და გამოქვეყნებას.

პროექტში ქართველ და უცხოელ მკვლევარებთან ერთად ჩართულები არიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებიც.

ექსპედიციას ბიძინა მურვანიძე და პროფესორი ელენა როვა ხელმძღვანელობენ.

ინტერპრესნიუსი

## ამინდი

# საქართველოში 18–20 ივლისს წვიმაა მოსალოდნელი

**ქვეყნის** უმეტეს რაიონებში, 18-20 ივლისს კვლავ წვიმაა მოსალოდნელი. როგორც "ინტერპრესნიუსს" გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრიდან, სვეტლანა ნიორაძემ აცნობა, დღეს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჰაერის საშუალო ტემპერატურა 30-35 გრადუსი იქნება, თბილისში 34 გრადუსია მოსალოდნელი.

დღეიდან დასავლეთ საქართველოში ამინდი შეიცვლება. მოსალოდნელია წვიმა. 19 ივლისიდან კი მოღრუბლული და წვიმიანი ამინდები აღმოსავლეთ საქართველოშიც გავრცელდება. ამასთან, ქვეყნის აღმოსავლეთის უმეტეს რაიონებში 19-20 ივლისს ძლიერი წვიმებია მოსალოდნელი. შესაძლოა სეტყვა და ელჭექიც.

ინტერპრესნიუსი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ჩვენი კარაბადინი

**ზაფხულობით თითქმის ყველა ცდილობს, გახდეს. მსოფლიოს ყველაზე ცნობილ დიეტოლოგს ანრი შენოს ვესაუბრებით იმის შესახებ, თუ სწორად როგორ უნდა ვიკვებოთ და როგორ დავიკლოთ წონა.**

# დიეტაში წონა მთავარი როდია



**დოსიე: ანრი შენო ფრანგი მეცნიერია, მან შექმნა მთელი სამეცნიერო დისციპლინა — ბიონტოლოგია, რომელიც სწორ კვებას ეძღვნება.**

### ყავის ნაცვლად — მწვანე ჩაი

**— ბატონო ანრი, ბევრი დილას ყავით იწყებს. ეს სწორია?**

— ყავა — ეს დღის საუკეთესო დასაწყისი არაა. თანაც არ აქვს მნიშვნელობა, ყავა შავია თუ რძით. აი, ერთი საინტერესო ფაქტი: თუ ადამიანმა დალია ყავა რძით, შემდეგ გარდაიცვალა, მეორე დღეს კი მას გაკვეთავენ, ყოველთვის აღმოაჩენენ ხოლმე გადაუმუშავებელ ყავას რძით! ჩემი აზრით, ეს მეტად დამარწმუნებელი ფაქტია იმისთვის, რომ გადავიდეთ მწვანე ჩაიზე. მე არ ვარ ყავაზე სრული



უარის თქმის მომხრე, მაგრამ დღეში ერთი ფინჯანი ყავა — ეს მაქსიმუმია.

ასევე არავის ვურჩევ, დილიდანვე მიირთვას რძის პროდუქტები — გაცილებით უკეთესია ცოტა ახალი ხილი.

**— რა არის, თქვენი აზრით, მთავარი სწორ კვებაში?**

— მთავარია — ერთმანეთში არ აგვერიოს ორი რამ: ორგანიზმის დეტოქსიკაციის (გაწმენდის — **რედ.**) აუცილებლობა და გახდომის აუცილებლობა. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ ერთი უმეოროდ ჯანმრთელობაზე კარგად არ აისახება. იდეალურად გახდომის პროგრამის წინ უნდა გავისუფთაოთ ორგანიზმი ტოქსინებისა და წიდებისგან. და კიდევ. იმისთვის, რომ მივაღწიოთ ლამაზ ფორმას და შევინარჩუნოთ ჯანმრთელობა, არ არის საჭირო, ვეცადოთ, გავხდეთ რაიმე გარკვეულ წონამდე. უნდა გვახსოვდეს, რომელია იდეალური წონა ჩვენთვის. ყოველ ადამიანს ხომ თავისი ფიზიოლოგიური თავისებურებები აქვს.

**— ამ ბოლო დროს მოდაში შემოვიდა მონოდიეტები — ცილისა (როდესაც უმთავრესად ხორცს მიირთმევენ), შოკოლადისა და სხვა. ესე იგი ხალხი იკლებს წონაში მხოლოდ ერთი პროდუქტით. თქვენ როგორ მიგაჩნიათ ეს?**

— ერთი პროდუქტის გადაჭარბებული მიღება მეტად საზიანოა ჯანმრთელობისთვის. თანაც ეს ხელს უწყობს ცხიმების ზედმეტ დაგროვებას. კვება უნდა იყოს სხვადასხვაგვარი — თუმცა, რასაკვირველია, მინიმუმამდე უნდა შევამციროთ ტკბილეული და ცომეული. ზედმეტი მოხმარება გლუკოზისა, ძირითადად რაფინირებული შაქრისა და თეთრი ფქვილისა, ქმნის გლიკემიური ცხიმების დაგროვების საშიშროებას. მაგრამ ცხოვრების კატორღად გადაქცევაც არ შეიძლება — ჭამისგან მიიღეთ კმაყოფილება. მაგალითად, ჩემი ცოლი და მე ყოველთვის ვაძლევთ თავს ნებას, რომ მოვდუნდეთ, ორგანიზმისთვის ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. კვირაში ერთხელ თავს ყველაფრის ნება უნდა მისცე. მე, მაგალითად, წითელი ღვინის გარეშე ვერ ვიცხოვრებდი. თუმცა მას ბოროტად არ ვიყენებ.

### ვახშამი — სამი საათით ადრე დაძინებამდე

**— ბოლო ხანებში ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ ხშირად უნდა იკვებებოდე, დღეში ხუთჯერ, თუმცა პატარა ულუფებით...**

— დარწმუნებული ვარ, რომ საკვების დღეში ტრადიციულად სამჯერ მიღება სავსებით საკმარისია. მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ფიზიკურად რამდენად ინტენსიურად მუშაობ.

**— და კიდევ აქტუალურად ახალი აზრი, რომ უნდა ვიკვებებოდეთ იმ პროდუქტებით, რომლებიც მიღებულია იმ მიწაზე, სადაც ცხოვრობ, და არა შორიდან ჩამოტანილით.**

— მერე როგორ წარმოგიდგენიათ ეგ? თითოეულ ჩვენგანს რომ ჰქონდეს თავისი ბაღი — ეს ერთი საქმეა. უფრო მეტიც, მე, მაგალითად, ძალიან მიყვარს პაპაია — ეს შესანიშნავი ანტიოქსიდანტია, და უბრალოდ სისულელე იქნებოდა, არ გამოიყენო იგი მხოლოდ იმიტომ, რომ ის არ იზრდება ევროპაში და მის მიდამოებში. არ შეიძლება შეზღუდოთ თავი ორგანიზმისთვის სასარგებლო და მნიშვნელოვანი პროდუქტებით.

**— საღამოს ექვსი საათის შემდეგ მართლა არ შეიძლება ჭამა?**

— ეს კიდევ ერთი მითია. დღეს ხალხი ბევრს მუშაობს, დასაძინებლად ხშირად ღამის ორ საათზე წვება. და უკანასკნელად საღამოს 6 საათზე ჭამო, იქნებოდა ორგანიზმის მასხრად აგდება. უნდა ივახშმო დაძინებამდე სამი საათით ადრე — მორჩა და გათავდა.

იცით, ბავშვობაში ვოცნებობდი, მღვდელი გამოვსულიყავი — ძალიან მინდოდა, დავხმარებოდი ხალხს, მესაუბრა მათთან. მე ახლა სწორედ ამას ვაკეთებ, თუმცა ცოტა სხვა მხრიდან (იცინის).

**ოლგა კოროზიცინა**

ЗДОРОВЬЕ

## ანეკდოტები

**სინამდვილეში მიზიდულობის კანონის აღმოჩენა პირველს შეეძლო მაროკოელ მეცნიერს, მაგრამ იგი ჩამოვარდნილმა ქოქოსმა მოკლა...**

* * *

**60-პროცენტიანი წყალი — ახალი დიეტური სასმელი! რეკომენდებულია ადამიანებისათვის, რომელთა ორგანიზმს წყალი აკლია. ადვილად ისმება, აღძრავს მადას და გაყენებს კარგ ხასიათზე. შემადგენლობა: წყალი — 60 პროცენტი, კონსერვანტი (ეთილის სპირტი) — 40 პროცენტი!**



**— როგორ ფიქრობ, დაელოდება მაშკა ივანს ჯარიდან დაბრუნებამდე?**

**— არა მგონია. იგი მას ხშირად სამსახურიდან დაბრუნებამდეც არ ელოდება.**

* * *

**ადრე მარტო ვცხოვრობდი და ყველა ჩემი ნივთი ეყარა თავ-თავის ადგილზე, სადაც მომიხერხდებოდა.**

**ახლა უკვე ქალი მყავს და ყველა ჩემი ნივთი აკურატულად და ლამაზად აწყვია, ღმერთმა იცის სად...**

* * *

**ღმერთმა ყველა ადამიანი განსხვავებული შექმნა, მაგრამ როდესაც ჩინეთამდე მივიდა, მოსწყინდა.**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან



### „ხელისუფლება სამოქალაქო დაპირისპირებას ამზადებს“

ენდიაის კვლევის მიხედვით, ნაციონალური მოძრაობა კვლავ ლიდერია, მეორე ადგილზე კი „ქართული ოცნებაა“.

— მთავარია, რომ პროცესები ქვეყნისთვის სასიკეთოდ შეტრიალდეს და დაპირისპირება არ მოხდეს, — ამბობს ირინა სარიშვილი, — დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად კი საჭიროა ორივე მხარის სურვილი. თუ ხელისუფლება ოპოზიციას ფიზიკური ძალით დაამარცხებს და უკან ვერ დაახევინებს, ასეთ გამარჯვებას გადაჰყვება კიდეც.

**„ახალი თაობა“.**

### პამიდვრის დეფიციტი — მთელი სეზონი მაღალი ფასით ჩაივლის

ქართული ბოსტნეულიდან პამიდორი წლეულს გამონაკლისია, რომელსაც სეზონის დაწყებიდან დღემდე საფასო ცვლილებები არ შეხებია.

მოვაჭრეები ფასს მოსავლის დეფიციტს უკავშირებენ და ამბობენ, რომ გაყიდვაშია მარტო მარნეულის პამიდორი, რომელიც ბაზრის სრულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. გლეხები მოსავლიანობის შემცირებას საწვავისა და შხამ-ქიმიკატების სიძვირეს, ასევე დაკარგულ მიწებს უკავშირებენ.

**„რეზონანსი“.**

### ექსპერტებმა თბილისში გასაყიდ საზამთროში მომწამვლელი ნივთიერება აღმოაჩინეს

„საქართველოს ანტიკორუფციული საბჭოს“ თავმჯდომარე გია ბურჯანაძე „ალიას“ სკანდალურ ინფორმაციას აწვდის. — თბილისის რამდენიმე რაიონის ბაზარში ბაღჩეულის გამოკვლევა ჩავატარეთ. გლდანის, კრწანისის, დიდუბის ბაზრებში გამოტანილ საზამთროში ნიტრატები ძალიან იყო მომატებული. საკვებში შხამ-ქიმიკატების ასეთი ჭარბი რაოდენობისთვის სხვაგან გამყიდველს არათუ რეალიზაციის უფლებას ჩამოართმევენ, დასჯიდნენ კიდეც, რადგან ეს ნიტრატები ჯანმრთელობისთვის ძალიან საშიშია, სხვა ტოქსიკური რადიკალებისაგან განსხვავებით, იგი ადამიანის ორგანიზმიდან არ გამოიდევნება.

ჩვენთან კი განმკითხავი არავინაა. მით უმეტეს ტრასებზე.

**„ალია“**

## მკითხველის საყურადღებოდ!

### 18 ივლისი არაკეთილსაიმედო დღეა

ამ დღეს მთვარე უერთდება იუპიტერს და ვენერას. შესაძლებელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები, ყველაზე მოწყვლადია სასუნთქი ორგანოები, ხელები, ღვიძლი, ყელი. არ არის გამორიცხული ოსტეოქონდროზის გამწვავება და საკვებით მოწამვლა. რეკომენდებულია მივიღოთ ხარისხიანი კვების პროდუქტები, არ გადავტვირთოთ ღვიძლი ცხიმიანი და მძიმე საკვებით, არ ავწიოთ სიმძიმეები, ვერიდოთ ორპირ ქარს, ცივ სასმელებს, ნაყინს. სასარგებლოა გამწმენდი და წყლის პროცედურები, სასუნთქი ვარჯიშები, სუფთა ჰაერზე ყოფნა.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24